
პიონერი - 1
1970



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყოს ზღაპრებით სავსე!

ს. შამურიანი

მიფრინავენ დღენი,
მიფრინავენ წლები;
ყოველ ახალ ცისკარს
ახალ ფიქრით ვხვდებით;
იმედებით,
რწმენით,
შთაგონებით,
გზნებით

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

# პიონერი

1 • იანვარი • 1970

გამოცემის 44-ე წელი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ოცნებათა ცისფერ
აღმართს ვეჭიდებით.
და... მიჰქრიან დღენი,
მიფრინავენ წლები.

და ელავენ ასფრად
ბილიკები, გზები.
მხოლოდ მაღლა, მაღლა,
ზევით,
ზევით,
ზევით
მოიჩქარის გული.
ანთებული მზე ვით.
ხარობს თვალი—შორი
მწვერვალების ცქერით,
მიჩქრიალებს სულში
სიხარულის ჩქერი.

და შენც, თეთრი ფრთებით
მოფრენილო წელო,
სულ სინათლით გევლოს,
სულ მშვიდობით გევლოს!
კიდევ უფრო,
უფრო,
უფრო სასახელოდ
გააბრწყინე ჩვენი
ვრცელი მთა და მდელო,
ჩვენი მზე და მთვარე—
მთელი საქართველო!

11300



მხატვარი აკაკი თევზაძე

# ლენინი კრემლში

ჩქარი, მტკიცე ნაბიჯები ყრუდ გაისმის ჯერ კიდევ ცარიელ დერეფანში. ეს ვლადიმერ ილიას ძეა. თავისი ბინიდან დილით ადრე რომ მიიჩქარის სახკომსაბჭოს კაბინეტში. ყარაული, რომელიც მუდამ აქ, კაბინეტის კარებთან დგას, ვლადიმერ ილიას ძის დანახვაზე წელში სწორდება, რომ სიამაყით მიესალმოს იმას, ვინც უკვე მერამდენე წელია მსოფლიო რევოლუციის სადარაჯოზე დგას.

— გამარჯობათ, ამხანაგო! — მხნედ მიმართავს ვლადიმერ ილიას ძე.

— გამარჯობათ, ვლადიმერ ილიას ძევ! — უპასუხებს სიხარულისაგან სახეგაბადრული ყოჩაღი წითელარმიელი კრემლის სამეთაურო სკოლიდან.

და თუმცა ეს მისალმებები ასე ხშირია, ვლადიმერ ილიას ძე უაღრესად ყურადღებიანია წითელარმიელების მიმართ, — ყოველთვის რაღაც ამაღელვებელი იგრძნობოდა ამ ურთიერთმისალმებაში: ნამდვილად, ჭეშმარიტ სახალხო ბელადებს ძალუძთ დაიპყრონ იმათი გულები, ვისთვისაც თვითონ არიან დაბადებული, დაიპყრონ დიდითაც და მცირედითაც და ამით თან გაიყოლიონ ერთეულებიც და მილიონებიც.

ვლადიმერ ილიას ძე კაბინეტში შესვლისთანავე იწყებდა მისთვის მომზადებული ფოსტის, უპირველესად კი საშინაო და საგარეო ფრონტებიდან მოსული დეპეშების თვალიერებას, და ახალი მონაცემები დაუყოვნებლივ გადაჰქონდა გეოგრაფიულ რუკებზე, რომლებითაც კაბინეტის ყველა კედელი იყო მოფენილი. თურქეთის ახალი ფრონტი რომ გაიხსნა, მე კედელზე ადგილი ვერ გამოვნახე ახალი ფრონტის რუკის მოსათავსებლად, და იძულებული გავხდი იგი ჰოლანდიურ ღუმელზე გამეკრა. ეს ღუმელი ძალიან ახლოს იყო ილიჩის სამუშაო მაგიდასთან და, ამრიგად, რუკა ძალიან მოხერხებულ ადგილზე აღმოჩნდა.

როცა ვლადიმერ ილიას ძისთვის კაბინეტს ამზადებდნენ, კრემლის კომენდანტი, მთავრობის სახლის კომენდანტი, მუშები და დამლაგებლები მთელი მონდომებით, სიყვარულით ცდილობდნენ ყველაფერი რაც შეიძლება კარგად მოეწყოთ. კრემლის კომენდანტმა სასახლის მომსახურეებს გამოართვა ვეება ნოხი, რომელიც ოთახის მთელ იატაკს ფარავდა, ხოლო სამუშაო მაგიდის წინ დადგეს სასახლიდან მოტანილი განიერი, რბილი სავარძელი. როცა ყველაფერი მზად იყო და ვლადიმერ ილიას ძე პირველად შევიდა კაბინეტში, მან გაოცებით წამოიძახა:

— ეს რა საჭიროა? მე ასეთ ნოხზე სიარულს ვერც შევძლებ. ამხანაგო მალკოვო, ამხანაგო ციგანკოვო, სად იშოვნეთ ასეთი დიდებული ნოხი?

— სასახლეში, ვლადიმერ ილიას ძევ, — მიუგო ორივე კომენდანტმა.

— იქ ასეთები კიდევ ბევრია?

— ძალიან ბევრი... ვეება ოთახი თითქმის ნახევრამდეა გავსებული.

— ვინაა მათზე პასუხისმგებელი?

— კრემლის მცველები, ძველი გრენადერები.

— ჰო, ეს კარგია, ეგენი მაგარი ხალხია, იციან თავიანთი საქმე... და მაინც, ვლადიმერ დიმიტრის ძევ, — მომიბრუნდა ილიჩი მე, — საჭიროა მთელი ამ სიმდიდრის რაც შეიძლება მალე აღრიცხვა... ეს სახელმწიფო საკუთრებაა...

— ყველაფერს აღვრიცხავთ, ამ დღეებში... — მივუგე მე.

— ეს ნოხი კი, — მიუბრუნდა იგი კომენდანტებს და მათთან სულ ახლოს მივიდა, — ახლავე აიღეთ. აქ ეს სულ ზედმეტია. დააბრუნეთ უკანვე... ალბათ უხელწერილოდ გექნებათ წამოღებული...

— უხელწერილოდ. — დაიბნა ორივე კომენდანტი.

— ეს კი დაუშვებელია... ყველაფერი აღრიცხული უნდა იყოს. — და გზა განაგრძო...

— ეს რისთვის არის? ეს რა სავარძელი დაგიდგამთ... ახლავე უკან წაიღეთ. მე კი, გთხოვთ, დამიდგათ ჩვეულებრივი ხის, დაწნული საჯდომით. იქნებ იყოს სადმე საწყობში, მოძებნეთ, მაგრამ იცოდეთ, ყველაფერი — ხელწერილით...

მალე იპოვნეს თითქმის ორი ერთნაირი სავარძელი, ისეთები, როგორიც ვლადიმერ ილიას ძეს უნდოდა, ერთი მის კაბინეტში დავდგით, მეორე კი სახკომსაბჭოს სხდომათა დარბაზში. სამუშაო მაგიდის წინ, მის პერპენდიკულარულად იდგა მწვანე მაუდგადაფარებული მოგრძო მაგიდა, რომლის აქეთ-იქით ეწყო რბილი, ტყავის სავარძლები. ვლადიმერ ილიას ძე როდესაც მომსვლელებს იღებდა, ხშირად სცილდებოდა სამუშაო მაგიდას და ღუმელთან ახლოს მდგარ სავარძელში ჯდებოდა.

აქ მოხდა საყოველთაოდ ცნობილი საუბარი ლენინისა ა. მ. გორკისთან, როდესაც იგი სასწრაფოდ იქნა გამოძახებული პეტერბურგიდან მოსკოვში, მეცნიერებისა და ლიტერატორებისათვის სასურსათო დახმარების საორგანიზაციოდ, რის შემდეგაც შეიქმნა სწავლულთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ცენტრალური კომისია.

კედელთან, რომელიც სახკომსაბჭოს სხდომათა დარბაზს ესაზღვრებოდა, იდგა დიდი, ტყავგადაკრული დივანი, ამ დივნის კიდეში ფანჯარასთან ახლოს იჯდა ხოლმე მოქანდაკე ნ. ა. ანდრეევი, რომელიც პლასტელინისაგან ვლადიმერ ილიას ძის ბიუსტს ძერწავდა. შემდგომში მანვე შეიმუშავა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ღერბის პროექტი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვლადიმერ ილიას ძემ ნება დაგვრთო მის კაბინეტში პატარა ბიბლიოთეკა მოგვეწყო, ამასთან წიგნების პირველი კომპლექტი თვითონვე შეადგინა. მათ შორის მოითხოვა შეგვეძინა დალის რუსული ენის ლექსიკონის ოთხტომეული, და ისინი ყველაზე დაბლა თაროზე, საწერ მაგიდასთან ახლოს მოათავსა. ხშირად, შესვენებისას, იღებდა დალის ლექსიკონს და დიდი ყურადღებით სწავლობდა.

საწერი მაგიდის პირდაპირ იყო მუშამბაგადაკრული კარი, რომელიც სახკომსაბჭოს სხდომათა დარბაზში გადიოდა.

ვლადიმერ ილიას ძე თამბაქოს არ ეწეოდა. მასზე ძალიან ცუდად მოქმედებდა თამბაქოს ბოლი. უმალვე თავი ასტკივდებოდა ხოლმე. მისმა ახლო ამხანაგებმა ეს, ცხადია, იცოდნენ და მასთან თამბაქოს წევისაგან თავს იკავებდნენ. იმათთვის კი, ვინც არ იცოდა, ვლადიმერ ილიას ძის კაბინეტშიც და სახკომსაბჭოს სხდომათა დარბაზშიც გაკრული იყო პლაკატი: „გთხოვთ არ მოსწიოთ“. სახალხო კომისრებსა და მათს მოადგილეებს შორის კი ბევრი იყო ნამდვილი მწეველი. სხდომების მიმდინარეობისას დარბაზიდან ხშირად გასვლა უხერხულიც იყო და შეუძლებელიც, რადგან ზოგიერთი საკითხის განხილვისას აუცილებელი იყო, ყველა კომისრის დასწრება. უბედურმა მწეველებმა მაინც იპოვნეს გამოსავალი ამ მძიმე მდგომარეობიდან: დარბაზის სულ ბოლოში იდგა დიდი, ჰოლანდიური ღუმელი, რომელიც მთელი მოცულობის მესამედით სხდომათა დარბაზში იყო შემოჭრილი. ამდენად, კედელსა და ღუმელს შორის საკმაოდ მოზრდილი კუთხე იქმნებოდა. ღუმელს ამ ნაწილში ჰქონდა სასული. სხდომების დროს ჰაერის გასაწმენდად ღუმელის საკვამურს აღებდნენ ხოლმე. მწეველები ყოველთვის მაგიდის ბოლოში, ღუმელთან ახლოს სხდებოდნენ. შიგადაშიგ სხდომების დროს დგებოდნენ, ღუმელს ამოფარებულები სიამოვნებით ეწეოდნენ და ბოლს ღუმელის სასულეში უშვებდნენ.

ვლადიმერ ილიას ძემ, რომელსაც არაფერი გამოეპარებოდა, შენიშნა კომისრების ეს ცირკულარული მოძრაობა, როგორღაც მოულოდნელად წამოდგა, ღუმელთან მივიდა და მწეველებს წააწყდა.

— აი, თურმე აქ რა ამბავი ყოფილა! — წამოიძახა მან. — ხომ ჩავარდით.

ბევრი იცინეს. ვლადიმერ ილიას ძე ძალიან აღელვა კომისრების მისდამი ასეთმა ყურადღებამ და წევის ეს მეთოდი დაკანონებულ იქნა.

როგორც კი დაიხურებოდა ამ უბრალო, ნათელი, მთელი სამყაროსთვის „იდუმალი“ კაბინეტის კარი, იქ უმალ იწყებოდა ჭეშმარიტად გასაოცარი, მკაცრად სისტემატიზებული მუშაობა. იგი დახედავდა მაგიდას, სადაც ელაგა ფოსტა და ცალკე ფრონტებიდან მოსული დეპეშები. ხელში იღებდა ამ დეპეშების დასტას და სწრაფად კითხულობდა. იმდენად სწრაფად, რომ იმ დროში უბრალო თვალის გადავლებაც კი ძნელი იყო. წაიკითხავდა და უკვე ყველა დეპეშა ზეპირად იცოდა, ისე რომ შემდგომში სიტყვა-სიტყვით აკეთებდა მათ ციტირებას, განსაოცარი სიზუსტით მოჰყავდა ციფრები: თუ დეპეშის გამოგზავნასა და მიღებას შეეხებოდა, აუცილებლად იცოდა საათი და წუთიც კი. არ ავიწყდებოდა კილომეტრები, წითელარმიელთა რაოდენობა, მტრის ჯარების, ოფიცრების, ზარბაზნების, იარაღის, ვაგონების, ორთქლმავლების რიცხვი. დოკუმენტების ამ საოცარი კითხვის მოწმე თვითონ რომ არ ვყოფილიყავი, დაჯერებაც კი ძნელი იქნებოდა. ამისთვის საჭირო იყო ისეთი საოცარი მახვილი მეხსიერება, წამიერი აღქმის უნარი, როგორიც ვლადიმერ ილიას ძეს, ამ ჭეშმარიტად გენიოს ადამიანს ჰქონდა.

ვლადიმერ ილიას ძემ დეპეშებს გადახედა და იმავე წამში მიდის რუკებთან: ერთთან, მეორესთან, მესამესთან. ყველგან, ყველა კედელზე რუკაა გაკრული და ყველაზე მისი ხელით მონიშნულია თოთხმეტივე ფრონტი, საიდანაც სხვადასხვა დროს უტევდა ჩვენს ახალგაზრდა სოციალისტურ რესპუბლიკას საერთაშორისო მტერი.

ყველაფერი შეისწავლა, მონიშნა და კვლავ მაგიდას უბრუნდება, სწრაფად, ერთიმეორეზე მიყოლებით სწერს დეპეშებს. აწკრიალდა ტელეფონები, დაიწყო პირდაპირ ხაზზე საუბარი და ერთბაშად ყველამ იგრძნო, რომ ის აქ არის, თავის კაბინეტში.

ასეა ყოველდღე, კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე, სულ ახალ-ახალი საქმეები და, ამასთან ერთად, ცეცხლოვანი, ღრმა თეორიული და პრაქტიკული აზრით სავსე გამოსვლები, ახალი წიგნები, ბროშურები, სტატიები, ფურცლები...

მუდამ მშვიდია, თავდაჭერილი, ენამახვილი და მხნე... ძალის, შთაგონების, შემოქმედების, ენერგიისა და ნებისყოფის ამოუწურავი წყაროა.

ლენინი ძლიერი მხრებით ეწეოდა ჩვენი ეპოქის ისტორიის გიგანტურ ტვირთს და არცერთხელ არ შემდრკალა ამ უსაზომო სიმძიმისაგან.

ვ. ბონჩ-ბრუევიჩი



მიქაელ არუთინიანი

მხატვარი ზ. მღებრიშვილი

უხვად ათოვს სიმბირსკს,
ათოვს საცურაოს,
ქარი იწყებს სირბილს,
სტკეპნის თოვლის ხაოს.
ჰყინავს და არც ჰყინავს,
ციგურები ჰქრიან,
ვით ალმასი მიწას,—
ცისფერ ყინულს სჭრიან.
ერთად გამოდიან
აგერ ორნი წყვილად.
— ბიჭო, ვალოდია,
არ წაიქცე, ფრთხილად!
ნაპერწკლებს ჰყრის თვალით,
ის წინ უსწრებს ყველას,
რჩება მისი კვალი,
როგორც წყვილი ელვა.
გაქროლილი ქარად,
ელვად ანანთები
მიჰქრის ისე ჩქარა,
თითქოს ჰქონდეს ფრთები.
უცებ მოჰკრა თვალი:
ბორცვზე ერთი ბიჭი
დგას და სახემკრთალი
რაღაც დარდით იწვის.
ვალოდია მყისვე
გაეშურა მისკენ:
— ასე დაღვრემილი
რატომ იყურები?
ციგურობა გინდა?
აჰა, ციგურები!
და პასუხობს ბიჭი:
— ნუ, ნუ იხდი, ძმაო,
ჩაცმაც კი არ ვიცი,
როგორ ვისრიალო!..
თავს დახრის და ბოლოს
მორცხვად ეღიმება:
— ციგურები მხოლოდ
ძილში მესიზმრება.
— სულ არ არის ძნელი,
შენც ისწავლი ჩქარა,
ოღონდ შეიძელი—
გწამდეს შენი ძალა.
კარგიო, და როცა
ციგურებზე შედგა,
მისდა გასაოცრად
თოვლზე დაეხეთქა.
ძლივსღა ადგა,
მაშინ,
ვით ერთგული მცველი,
გვერდთ დაუდგა, მკლავში
გაუყარა ხელი,
ვალოდიამ ბიჭი
წაიყვანა წინ.
— გიჭირს?
— დიახ, მიჭირს!..
კვლავ დაეცა ძირს.
თოვლში მასთან ერთად
ვალოდიაც გორავს.
— აგერ რომ ჩანს თეთრად
ის პატარა გორა,
მისკენ გავეშუროთ
და იქიდან მერე
უკვე უჩემოდაც
ჩაიქროლებ სერებს.
აი ვნახოთ, მაშინ
ვინ გაჯობებს, ვინ!
წინ!
ნუ შიშობ!
ასე!
ყოჩაღ, ბიჭო!
წინ!
და თავისით მიჰქრის
ბიჭი ბედნიერი,
თითქოს გათბა ფიფქიც,
თითქოს თოვლიც მღერის.

და იმ ბიჭს რომ ხედავს,
სახლშიც აღარ ჩქარობს,
ალბათ მასზე მეტად
ვალოდია ხარობს.
— სადაცაა შუქი
ჩაუქრება მზეს,
შინ წავიდეთ უკვე,
გვეყოფაო დღეს.—
თქვეს და გამოდიან
ყმაწვილები გზაზე,
უცებ ვალოდიამ
იმ ბიჭს უთხრა ასე:
— სიხარულით ვხტოდი,
შენ რომ გიყურებდი,
მაშ სახსოვრად გქონდეს
ჩემი ციგურები.
— გმადლობ, ვალოდია,
გულით ამბობ, მჯერა.
მაგრამ ნუ მთხოვ ძლიერ,
ვერ ავიღებ, ვერა...

სახლში მისულ ულიანოვს
ეკითხება დედა:
— შვილო, რად ხარ
მოღუშული,
რა შეგემთხვა ნეტავ?
— აიმ ქვრივის შვილს თუ
იცნობ?
— იმ ჭორფლიანს?
— დიახ.
დღეს ისწავლა ციგურობა,—
ამბობს ვალოდია.
— ჰოდა, კარგი საქმე არის,
ხომ არ გშურს და სწყრები?..
— არა, დედა, თვით ვასწავლე
ჩემი ციგურებით.
თვითონ არ აქვს, ღამით ძილში
ესიზმრება მარტო...
— უნდა შენი გესახსოვრა,
თუკი ასე დარდობ.
— ვაძლიე და არ აიღო,
ამაყია მეტად.
— რაღაც უნდა მოიფიქრო,—
ღიმით ამბობს დედა.

დილით, როცა ქერა ბიჭმა
გამოაღო კარი,
ზღურბლთან ეწყო ციგურები—
უცხო საჩუქარი.
— ჰე, სიზმარი ამიცხადდა!—
დაიყვირა ლამის,
უცებ რაღაც გაახსენდა,
შეყოყმანდა წამით.
— ვალოდიამ რომ მათხოვა,
იმათ არ ჰგავს განა?
მაგრამ ყველა ციგურები



ხომ ერთმანეთს ჰგვანან.
მაინც ვკითხავ,—
თქვა და აი
მიდის სასრიალოდ.
ბიჭუნების გუნდი უკვე
ლეწავს თოვლის კალოს.
დაეხვივნენ ქერათმიანს:
— რა კარგები არის,
ალბათ ღმერთმა თუ მოგართვა
შენ ეგ საჩუქარი.
— ვალოდია არ გინახავთ?
— იქ სრიალებს, მგერ.
იქნებ გინდა, გაეჯიბრო
იმ შენს მოამაგეს?..
ბიჭს ბევრი არ ალოდინა
იქვე გაჩნდა ვალოდიაც.
სიხარულით ეუბნება:
— წამო, ვისრიალოთ,
ეს რა კარგი ციგურები
გიშოვნია, ძმაო.
— ღმერთმა მომცა!
— რა თქმა უნდა,
მოწყალეა ღმერთი...—
ვალოდიამ გაიცინა,
წინ წაიგდო მკერდი.
და გაფრინდნენ ორივენი,
ფრთა შეესხათ თითქოს;
ლაღად მიჰქრის ვალოდია
და თავისთვის ფიქრობს:
«ქვეყნად ყველა ოცნება რომ
სრულდებოდეს ასე,
განა ღმერთზე, კაცი უნდა
ლოცულობდეს კაცზე».
თითქოს ცაშიც ელიმება
ნისლმობურულ მნათობს,
ხვავრიელად ათოვს სიმბირსკს,
სასრიალოს ათოვს.

თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა.

ლამარა
გვაზავა-სანაძე

მხატვარი
ჯემალ ლოლუა

მოთხრობა



# ჩრდილოეთის ციალი

ყველაფერი სწრაფად მოხდა. ისე, როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე. დილით დედამ თქვა, თენგიზზე ცუდი სიზმარი ვნახეო და, ბებიასთან მოკლე თათბირის შემდეგ, მასთან წასვლა გადაწყვიტა.

თენგიზი ჩემი მამაა და მურმანსკში თევზსარეწაო გემის კაპიტანია. მე უკვე მეექვსე კლასს ვამთავრებ და მაქვს ერთგვარი წარმოდგენა მურმანსკზე, კოლის ნახევარკუნძულზე, იქაურ გეოგრაფიულ პირობებზე, თეთრ ღამეებსა და ჩრდილოეთის ციალზე... მაგრამ სულ სხვაა, ყოველივე ამას შენი თვალით რომ ნახავ. ამიტომ, გადავწყვიტე ბედი მეცადა.

— დედი, მეც წამიყვანე მამასთან! — მორიდებით ვთხოვე. თუმცა წინ ორი გამოცდა მედო და თანაგრძნობის იმედი სულაც არ მქონდა. მაგრამ მოხდა სასწაული — დედა უყოყმანოდ დამთანხმდა: ჯირკვლებიან ბავშვს თურმე ჰაერის გამოცვლა სჭირდება და გამოცდებიდანაც ათავისუფლებენ.

დედამ მალე გაიგო, რომ მამა შორეული ცურვიდან უკვე ბრუნდებოდა მურმანსკში და ჩვენი გამგზავრებაც სწრაფად მოხდა. ორიოდე დღის მერე ჩვენი მატარებელი ჩრდილოეთისაკენ მიჰქროდა. მოსკოვი... ლენინგრადი... და, აჰა, მურმანსკიც! აი, აქ დაიწყო ჩემთვის ჯერ სიხარულით, შემდეგ კი ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება.

* * *

მამა სადგურზე დაგვხვდა, კმაყოფილი და მხიარული. სულაც არ გაჰკვირვებია ჩვენი სტუმრობა, არც დედას გახსენებია თავისი სიზმარი. მეორე დღეს ვლადიმირის ნავსადგურში კატარღით გავემგზავრეთ. ძირითადად იქ მსახურობს მამა.

ჩვენი სახლი ბარენცის ზღვას გადაჰყურებს. ზღვა დღედაღამ ხვნეშის, დგაფუნებს, ვილაცას ებუზღუნება. ნავსადგური კი თევზით არის სავსე. რა თევზს არ ნახავთ აქ: ქამბალას, კაპოეტს, სვიას, სკომბერს, ჩრდილოეთის თართსა თუ აუარება ქაშაყს. ხორა-ზვინად დაყრილ თევზეულში მამაჩემის უზარმაზარი ტრალერით — „სტეფანე რაზინით" ჩამოზიდული ნადავლიც არის.

მე ვამაყობ, რომ ჩემი მამა კაპიტანია, რომ მას ყველა აფასებს. მისი თანაშემწე ტრიფონ მორისოვი გახლავთ. ტრიფონის ოჯახი რიბაჩოვის ნახევარკუნძულზე ცხოვრობს თურმე. ჰყავს ცოლი ევა და ჩემი ტოლა გოგონა ტაისა. ტაისას პაპას კარელა ჰქვია. კარელა პაპა მებადურთა ბრიგადირია. ჯმუხი, კეთილი კაცია და ბრეზენტის კაპიუშონიანი ლაბადა მუდამ თევზის ლორწოთი აქვს მოთხვრილი. დასუსხულ ხელებზე კოჟიჟები აზის.

ჩვენს იქ ყოფნაში ევა დეიდას კანდალაქშიდან ძმაც ესტუმრა — ინჟინერი სიმონ კოსტინი. იგი თურმე ზამთარ-ზაფხულ ცივ წყალში ბანაობს და თოვლით იზელს ტანს.

მამაჩემის წასვლის დრო მოვიდა და ჩვენ ვღონდებით.

— ამ რეისიდან მოვბრუნდები თუ არა, შვებულებით ჩამოვალ, — გვამხნევებს დედაჩემსა და მე. დედას ახლა ოჯახზე აწუხებს ცუდი სიზმრები და წასასვლელად ემზადება.

— თამაზი აქ დატოვე, ჩვენ ერთად ჩამოვალთ, — უთხრა მამამ და თვალი ჩამიკრა. ევა დეიდამაც მხარი დაუჭირა მამაჩემს: დარდი ნუ გექნებათ, თამაზი ჩვენსას იქნებაო.

— მაშინ ტაისას მე წავიყვან, ჩვენს მხარეს გავაცნობ, ზაფხულის დამლევს თენგიზი უკანვე ჩამოიყვანს, — უთხრა დედამ.

— ვაშააა!.. — წამოხტა ქერანაწნავებიანი ტაისა და დედაჩემს მოეხვია. ამრიგად, დედებმა შვილები დროებით გაცვალეს და ეს მეგობრული შეთანხმება ოჯახური ლხინით აღინიშნა.

მეორე დღეს „სტეფანე რაზინი" ვლადიმირის ნავსადგურიდან გავიდა. დედა ცრემლებს იწმენდდა, მამა ხელს გვიქნევდა. გულზე რაღაც გაურკვეველი დარდი დამაწვა.

ერთი დღის შემდეგ დედა და ტაისა გავაცილეთ და სულ ობლად ვიგრძენი თავი. საათობით ვიდექი ნაპირზე და ზღვას გავყურებდი. ლურჯი შორეთი სადღაც დასალიერში იკარგებოდა. მამაჩემი უკვე ამ შორეთს იქით იყო.

— შენ ბედკეთილი კაცი ყოფილხარ, ძმობილო, — სიმონ კოსტინმა მხარზე ძმაკაცურად ხელი დამკრა. გაოცებით ავხედე.

— ჩაიცვი ჯუბა და გზას გავუდგეთ. კარელიას დაგათვალიერებინებ. ბარენციდან თეთრ ზღვაში გავალთ. ორმოცდაათი ათასი ტბით მოხატულ ჩვენებურ „ვენეციას“ განახებ. გათევზავებ კიდეც. გირვასისა და კივაჩის წყალვარდნილებს ჩავუვლით, „ხელმწიფის“ გზით ონეგის ტბაზე გავალთ და ტყე-ღრეებში ვინადირებთ, — ენა მოიქარგა კოსტინმა, მე პირდაბჩენილი შევყურებ.

— შენ ალბათ არც გინახავს სოლო!

უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

— არც სუსხური, არც ბატასინი?

— არა.

— ჰოდა, ნახავ, კოლო და მუმლი ცხვირ-პირს კარგა გვარიანად დაგვისიებს, მაგრამ უნდა გავუძლოთ.

გამეცინა. ევა დეიდასაც ეღიმება. კარელა პაპა კი ცერად გვიყურებს. ვერ გაიგებ, მოსწონს თუ არა კოსტინის მარშრუტი. შემდეგ ადგა, კარადიდან ორი ქილა ხიზილალა გამოიღო, ბავშვს ჩანთაში ჩაუდეო, — უთხრა რძალს.

— ეს უკვე მგზავრობის ნებართვაა. — გაიცინა ძია სიმონმა.

— მეშინია, ბავშვი აქაურმა ჰაერმა არ დასცადოს! — ყოყმანობდა ევა დეიდა.

— ზღაპარს მოეშვი, არაფერიც არ მოუვა. — საუბარში კარელა პაპა ჩაერია და ევა დეიდამ ჩვენი გამგზავრების თადარიგი დაიჭირა.

გემი განთიადზე გავიდა. თუმცა, აქ ვერ გაიგებ, როდის არის განთიადი, ან შუაღამე, არემარეს დღედაღამ მზე ეალერსება. მზეს აზრადაც არ მოსდის თვალი მოხუჭოს, სიბნელეც სიახლოვეს ვერ გაკარებია.

— კიდევ ცოტა და, ზამთარი ერთს ათად ამოიღებს. ის გრძელია და ბნელი. გაგიგონია პოლარული ღამე? — ძია სიმონი გემის მოაჯირზე თითებს ათამაშებს და ზღვას თვალს არ აშორებს, თოლიებს ესიყვარულება. — თუმცა პოლარულ ღამესაც აქვს თავისი სილამაზე, მაშინაა ჩრდილოეთის ციალი.

— ჩემი აზრით, თეთრი ღამე ყველაფერს სჯობია აქ.

ნაზ სხივებში თეთრ ღამესავით ნათელი თოლიები დაფარფატებენ. ისინი ახლა ჩვენს გემს დასტრიალებენ თავს და ყურისწამღებად ყაშყაშებენ. შორს, ძალიან შორს, ლილისფრად დაბურული მთები და ტყეები მოჩანს.

აი, უკვე მეორე დღეა, გემზე ვარ. გემი ახლა თეთრი ზღვის ტალღებს მიარღვევს. დიახ, თეთრ ზღვაში მივცურავთ, თუმცა იგი ისევეა თეთრი, როგორც ჩვენი ზღვა არის შავი. ამ შეუსაბამო სახელებს ნეტავ რად იგონებენ ადამიანები?!

თეთრი ზღვა დღეს მშვიდად ტორტმანებს. თეთრქოჩორა ბატებივით ერთმანეთს მისდევენ ტალღები და ნაპირისაკენ მიემართებიან, რომ კლდის ლავგარდანს ქობა შემოავლონ. გემი ხვნეშის და ბუქბუქა ქაფში ჩამდგარს ცა ქუდად არ მიაჩნია. მე უკვე სამჯერ შემოვირბინე გემი. ვიყავი ზემო საკომანდო ხიდურაზე, კაპიტნისა და შტურმანის ჯიხურებიც ვნახე. კაპიტანი გამხდარი კაცია და ნაცრისფერი თვალებით მკაცრად მიყურებს. სანამ რამეს მეტყოდა, მე დავასწარი: მამაჩემზე ვკითხე. ჩვენი დამოკიდებულება უცებ შეიცვალა. კეთილად გამიღიმა, ძმაკაცივით ხელი გამომიწოდა. შემდეგ ნებაც კი დამრთო გემი შიგნითაც დამეთვალიერებინა.

ახლა კიჩოზე ვდგავარ, გავყურებ ოდნავ აფორაჯებულ ზღვას და მთელი ქვეყანა მიყვარს. მამაჩემივით მეც კაპიტანი გავხდები, გადავცურავ ოკეანეებს, ზღვებს და შორეულ მხარეებს ვინახულებ. უცხო ხალხსაც ვნახავ. ჩემი ქვეყნის სიკეთეს მათ გავაცნობ. ზამთარ-ზაფხულ ცივ წყალში ვიბანავებ და დევივით ძლიერი ვიქნები...

უცებ აზრი გამიწყდა, — ჩვენი გემი რაღაცამ მძლავრად შეატორტმანა.

— ხედავ, ძმობილო, შტორმი იწყება! შენთვის ამის ნახვაც საჭიროა, — მითხრა ძია სიმონმა. მე ბარბაცით მოაჯირს მივაწყდი.

ალერსიანმა ზღვამ უეცრად შეიკრა კოპები. შავად აიფოფრა და გაგულისებულს პირზე დუჟი მოადგა. გემი ზვირთის ქეჩოზე მოიგდო. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ შიშმა შემიპყრო.

— ეგერ, ჰეეე, წითელ კედელს ხედავ? ქარიშხლის ქაჯები სწორედ მასზეა მიბმული, — მითხრა კოსტინმა და ცაზე გაწოლილ მეწამულ ზოლზე მიმითითა, რომელიც სადღაც შორს, ჯაგარაშლილ ზღვას ერწყმოდა. იქიდან დაძენძილ-დაფლეთილი ღრუბლები წამოიშალნენ, ერთმანეთს შეუერთდნენ და ცის ხასხასა გუმბათი ტყვიისფრად დაფარეს. შემდეგ დამძიმდნენ, დაბლა ჩამოიწიეს და ასევე ტყვიისფერ ზღვას ლამის ზედ დაემხვნენ.

ყალყზე შემდგარი ქარი გაბმით გაჰკივის, ჰაერში ატაცებული ქაფით გემბანს რეცხავს.

...კაიუტაში თავდაღმა ვწევარ და მამაჩემზე ვფიქრობ, რატომღაც დღეს პირველად შემეცოდა იგი. ვინ იცის, რამდენი ასეთი და ამაზე მძიმე ქარიშხალი გადაუტანია! მისი სიმშვიდე ქარის ფრთებსა და ზღვის ახირებაზე ჰკიდია. ზღვის ნდობა კი ძნელი ყოფილა: ახლა რომ გეალერსება, უცებ გუნებას შეიცვლის, საიდანღაც ქაჯები გამოტყვრებიან და მორჩა!

გულმა კაპიტნის ჯიხურისაკენ გამიწია. განსაცდელის ჟამს მამაჩემი საკომანდო ხიდურაზე მინდა წარმოვიდგინო, მაგრამ არაქათგამოცლილი თავს მაღლა ვერა ვწევ. ძია სიმონი გვერდიდან არა მშორდება.

— ეს რა არის! შენ უნდა ნახო, ადრე გაზაფხულზე ნევასა და ლადოგის ტბაზე ყინულის სკდომა, მისი გრუხუნი, — მეუბნება, — უზარმაზარი ბროლის მცურავი კოშკები გრიალით ზღვისკენ რომ დაიძრებიან. ხოლო თუ ქარიშხალი ამოვარდა? აი, მაშინ იწყება ნამდვილი სეირი. ისეთი გრგვინვა-ჯახანი ატყდება, გეგონება, ათასი ნაღმი ერთად ფეთქდებაო. ეჰ, შენ რომ ერთი წელიწადი დარჩე ჩრდილოეთში, ბევრ საინტერესოსა და ლამაზს ნახავდი!

მხოლოდ მესამე დღეს დაგვადგა საშველი. დაღლილმა გემმა ერთ უბეში შერგო თავი. აქ ღელვა არ იყო და გონებიდან ბურუსი თანდათან გადამეწმინდა. ყელში მობჯენილი გულიც საგულეს დაუბრუნდა. გემბანიდან გავხედე დაქანებულსა და კლდოვან ნაპირებს. მუქად მოზიმზიმე წყალში



ლ. გვაზავა-სანაძის მოთხრობამ „ჩრდილოეთის ციალი“ „პიონერის“ კონკურსზე მესამე პრემია დაიმსახურა.

კუნძულები რუხი ფერის დათვებით გაწოლილან.

— ესეც კანდალაქშა! — მხიარულად წამოიძახა ძია სიმონმა, გაბმული გუგუნით მას გემის საყვირმაც ხმა მისცა და ნისლისფერი ამონასუნთქი იქაურობას მოჰფინა.

გემმისადგომი პატარაა და სულაც არა ჰგავს მურმანსკის ხალხმრავალ ნავსადგურს.

— მე აქ, კატორღელების ქალაქში, ჭიპი მაქვს მოჭრილი, — მითხრა ძია სიმონმა.

— რატომ კატორღელებისა?

— აქ წინათ კატორღელები ჩამოჰყავდათ. მათთვის შეღავათი მხოლოდ ის იყო რომ ბორკილებს ხსნიდნენ. აქედან გამქცევი კაცი თავმოძულებული უნდა ყოფილიყო: ან მხეცი შეჭამდა ან ჭაობი დაახრჩობდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბორკილებიც თან წაიღო. სახელად კი აქაურობას „კანდალაქშა“ დაუტოვა, რაც ნიშნავს — „ბორკილი შორს“.

გაოცებული შევყურებ, არ ვიცი ზღაპარია ეს თუ სინამდვილე. გემი ტაატითა და ბორძიკით ნაპირისაკენ მიიწევს. აგერ უზარმაზარ კლდეს ცხვირი წინ წამოუწევია, მის ქონგურებს ათასობით ფრინველი ეხვევა გარს.

— ეს ფრინველთა ბაზარია, — მეუბნება კოსტინი. დურბინდით ვუყურებთ ფრინველთა რიალს. ჩემთვის აქ ყველაფერი უცხოა, ყველაფერი ახალია და საინტერესო.

* * *

წყლის ნაპირზე დგას სიმონ კოსტინის სახლი, ხის ძელებისაგან კოხტად შეკრული და ორფერდასახურავიანი. მისი აივანი ზღვის უბეს ზედ დაჰყურებს.

ძია სიმონის დედა თვალებგაფაციცებული შემოგვეგება, ტაისას ელოდა თურმე და, როცა იმედი გაუცრუვდა, სახე ჩამოეღრუბლა. შემდეგ, წყენამ რომ გაუარა, მომესიყვარულა.

აივანზე ვიდექით.

— ცურვა იცი? — მკითხა კოსტინმა და ტანსაცმლის გახდა დაიწყო.

— არა, — უხერხულად შევიშმუშნე.

— არაფერია, ცურვა არც ჯეიმს კუკმა იცოდა, ოთხი ოკეანე კი გადასერა, — მხარზე ხელი მომითათუნა, მოაჯირზე დადგა და პირდაპირ უბეში ისკუპა. შიშით გული გადამიქანდა. უცებ ძია სიმონი ზურგზე გადაწვა და ხელი დამიქნია.

როგორც კი ვივახშმეთ, მე დასაძინებლად დავწექი. შტორმი თავიდან ჯერაც არ მქონდა გამონელებული. ძია სიმონი სასთუმალთან დამიჯდა.

— სუფთა ჰაერზე უფრო მომაგრდები, სჯობს ხვალვე დავადგეთ გზას. ჯერ ამბარნაიაში ვითევზაოთ, იქ ლამაზი ტბებია; შემდეგ კონდოპოგაში შევჩერდებით. იქიდან ახლოსაა გირვასისა და კივაჩის ჩანჩქერები. პეტროზავოდსკს განახებ. მეორედ რომ ჩამოხვალ, ახალი არხით ლენინგრადში ჩაგიყვან. ამჯერად მატარებელს დავჯერდეთ.

მე ჩუმად ვუსმენ და თანდათანობით ძილის ბურანში ვეხვევი.

* * *

ჰაერში კოღო-მუმლის თვალგაუვალი ზვინები ჰკიდია. ლამის მზე ჩააბნელონ.

— აი, ჩვენი სულთამხუთავები! — გაიღიმა კოსტინმა და არყის შტო მთელი ძალით გაიქნია, თითქოს მტრის ლაშქარს დაერიაო. გზა განვაგრძეთ, ნესტიან ჭალაში ფეხქვეშ გვეგება რბილი ხავსი. ტყეში ხისმჭრელები მუშაობენ.

— ჰაუ, აქეთ რამდენი ნაძვია! სულ არა ჰგავს მურმანსკის მხარეს, — წამოვიძახე.

— ჯუჯაჩირგვება, ძიგურიან ტუნდრას წიწვნარი სჯობს, — მიპასუხა ძია სიმონმა. აღტაცებული შევყურებ გირჩებით დახუნძლულ ნაძვებს. ნაძვი ხომ ჩვენი გამხარებელია, ახალი წლის მეკვლე და ლაზათი! აქ კი იმდენი ნაძვია, ერთიმეორეზე ლამაზი და წერწეტა! გარინდული დგანან ტანადი სოჭები, თეთრკანჭება არყის ხეებზე ფოთლები მოუსვენრობენ, ტბათა სარკეზე განუწყვეტლივ ციაციახებენ. ტბა კი ამ მხარეში უთვალავია, დიდებიცა და ჭასავით მოსკუნტულებიც, ერთმანეთზე წაბმული და ხავსის არშიამოვლებული. ზოგიერთი კლდეშია ჩამჯდარი.



მოხერხებული მისადგომი ავირჩიეთ და ანკესები წყალში გადავისროლეთ. მუმლისაგან მოსვენება წაგვერთვა და კოსტინმა ბანდის კარავი გაშალა. შევედით შიგ და იქიდან დავიწყეთ თვალთვალი.

— თქვენ ნამდვილი მოგზაური ყოფილხართ, ძია სიმონ, ყველაფერი წინდაწინ გაქვთ მოფიქრებული, — ვუთხარი მისი მოხერხებულობითა და სისწრაფით აღტაცებულმა. მან წინ გადმოცვენილი ქერა თმები თითებით აივარცხნა და გაიღიმა.

— ადამიანი ბუნებით ყველა მოგზაურია, ძმობილო. თავისუფალ კაცს ცა ქუდად არ მიაჩნია, მაგრამ თუ საქმე უკან ეწევა, მაშინ იგი ოცნებით მოგზაურობს.

— თქვენ ხომ ინჟინერი ხართ, განა საქმე უკან არ გეწევათ?

— დღეს მეთევზე ვარ, მხოლოდ სამი კვირის შემდეგ ვიქნები ინჟინერი. როცა გაიზრდები, ნაშვილო, აი, მაშინ გაიგებ მოგზაურობის ფილოსოფიას.

— ჩემი გვარი ინაშვილია, — შევუსწორე.

— მეგონა, ამერიკული ქალაქი პაპაშენისა იყო, — გაიცინა მან. — მე ვყოფილვარ ტენესის შტატში. კუმბერლანდის ნაპირებზე არის პატარა ქალაქი — ნაშვილი, ამბობენ ის ჩამოსულმა კაცმა ააშენაო, იქნებ ის „ჩამოსული" თქვენებური იყო, ჰა?

პირი დავაღე. უცებ ბებიაჩემის ნათქვამი მომაგონდა: ინაშვილებს მთელს დუნიაზე აქვთ ფესვი გადგმულიო.

— ჩემი გვარიც არ გეგონოს უბრალო, — ძია სიმონს ცისფერი თვალები სიამაყით უბრწყინავს, — ჩემი წინაპარი კარელიაში გლეხთა აჯანყების მეთაური ყოფილა. იგი წამებით მოუკლავთ. ბევრი ვეძებე მისი საფლავი. რომ მეპოვნა, გვარის დამამშვენებელს ძეგლს დავუდგამდი.

— იცი, ივანე ტურგენევმა სამშობლოზე რა თქვა? — მკითხა მცირე ჩაფიქრების შემდეგ ძია სიმონმა და თვითონვე დაუმატა: — სამშობლოს გარეშე ბედნიერება არ არსებობს და მშობლიურ ნიადაგში ღრმად გაიდგი ფესვიო. ჰოდა, ძმობილო, აი, ეს არის ჩემი მიწა, ჩემი სიცოცხლის ფესვიც აქ არის ჩამჯდარი. მიყვარს მისი ყოველი მტკაველი, — მან ფეხი მიწას დაჰკრა.

უცებ ჩემი ტივტივა აცახცახდა. თვალი გამიშტერდა.

— სტუმარი გეწვია, მიდი, მიხედე, მითხრა ძია სიმონმა.

შიშითა და აღტაცებით ნელა ამოვწიე ანკესი. ნემსკავზე თევზი ფართხალებს, კუდს იქნევს, იზნიქება...

— აჰა, დავიჭირე... დავიჭირე! — მთელი ძალით ვყვირი და ნადავლს წყლის ზედაპირს არ ვაშორებ, მის „ილეთებს" შევყურებ დაბნეული.

— ამოისროლე... მაღლა ამოისროლე! — დამიძახა კოსტინმა. მეც მოზრდილი თევზი მთელი ძალით ვბეთქე ბალახებში. იმ წუთს ისეთი ბედნიერი ვიყავი, თითქოს ოქროს თევზი დამეჭიროს. ძია სიმონმა მხარზე ხელი დამკრა და მომილოცა, თან დასძინა, სკომბერი არისო. შემდეგ თვითონ ორი ვირთევზა დაიჭირა. ჩემს ანკესსაც წამოეგო მოზრდილი მომწვანო-მოწითალო თევზი.

— სიმონ ბიძია, ჩემი აზრით, ეს გამბუზიაა ან კობრი.

— გამბუზია და კობრი თქვენს მხარეშია, ჩვენს წყლებში მათ სცივათ. აბა, თუ იცი, გამბუზია ვინ ჩამოიყვანა ჩრდილო ამერიკიდან?

მხრები ავიჩეჩე.

— ეს თევზი, ძმობილო, თქვენმა მეცნიერმა ჩამოიყვანა და უნდა იცოდე.

— ვინ მეცნიერმა?

— ვინ და რუხაძემ, ასე სწერია თევზმოშენების ისტორიაში.

კიდევ კარგა ხანს ვითევზავეთ.

„ნეტავ სად უნდა წავიღოთ ამდენი თევზი!" — გავიფიქრე. ამ დროს ტყისმჭრელებმა გამოიარეს. დასასვენებლად მიდიოდნენ. ძია სიმონმა დაუძახა, თევზი შესთავაზა.

— სულ თქვენი იყოს, — უთხრა და მთელი ნადავლი თან გაატანა. ჩვენც ავიკიდეთ გუდა-ნაბადი და გზას გავუდექით.

* * *

სადგურიდან კივაჩი ახლოსაა. მაინც გამიძნელდა სიარული: ზურგჩანთა უსაშველოდ დამძიმდა. მალე გუგუნი შემოგვესმა. ეს ჩანჩქერი იყო. აღმართი ავიარეთ, გზა მოკლეზე გადავჭერით და გაგულისებულ კივაჩს წინ დავუდექით. ის ქუხდა, ღივღივებდა, შხეფებად იფრქვეოდა. ზედა ქვაკიბიდან ზვირთებად გადმომსკდარი კლდის ქონგურებზე იმსხვრეოდა და იქაურობას ალმასის მტვერში ჰხვევდა.

ახმიანებულ კივაჩს ბევრი ტურისტი და მოსწავლე მიეზიდნა. იღებდნენ სურათებს და ერთი ჟრიამული ჰქონდათ. მათ ხმას ჩანჩქერი იტაცებდა. ამ სანახაობის მზერით ვერა ვძღებოდი.

— გირვასის ჩანჩქერი ამაზე ლამაზია, — თქვა ძია სიმონმა.

— სხვა დროს ვნახოთ გირვასი, აქ შთაბეჭდილების წაშლა არ მინდა, — ვთხოვე.

ძია სიმონმა სიმღერა წამოიწყო და ისიც ალმასთ წკრიალში ჩაიკარგა. აქ მარტო კივაჩი მღეროდა, მრავალხმიანი და ვაჟკაცური სიმღერით. მაგრამ ეს რა ხმაურია! თითქოს საშიში და ავის მომასწავებელი?! ყველა ცას მისჩერებია. თორმეტი თვითმფრინავი მრისხანე გუგუნით პეტროზავოდსკისკენ ჰაერს მოაპობს.

— ფინეთიდან მოდიან, — თქვა შეცბუნებულმა ძია სიმონმა. ხალხიც უცებ აწრიალდა, წასვლის თადარიგი დაიჭირეს.

„ომი"!

ტყვიაზე საშინელი სიტყვა დაგვავდა კონდოპოგაში და პირველსავე მატარებლით მურმანსკისაკენ წავედით.

* * *

კოსტინი ჯარში წავიდა, მამა ზღვიდან არ დაბრუნებულა. ევა დეიდა ჩამოდნა. ჩემს მშობლიურ ქალაქთან კავშირი დავკარგე და სასოწარკვეთილებამ შემიპყრო. კარელა პაპას კუდში დავდევდი. შუბლშეკრული მოხუცი რაღაცას ფიქრობდა, ზომავდა, წონიდა და ბოლოს გადაწყვიტა, კანდალაქშაში წავსულიყავით. მაგრამ დაგვაგვიანდა: უკვე ოკუპირებულ ზონაში აღმოვჩნდით. თავზარი დაგვეცა, შიშმა შეგვიპყრო. კარელამ პირში თითქოს წყალი ჩაიგუბა, — არც კარგს ამბობს, არც ავს. დადის მოქუშული, ეწევა წეკოს და აპურჭყებს. როცა კომენდანტის მოჯამაგირეობა უბრძანეს, უსიტყვოდ შეუდგა საქმეს.

— შენ რა გქვია? — თითქოს მოწყალე თვალით გადმომხედა სახეატრუსულმა ფაშისტმა. ეს კომენდანტის კარისკაცია და დიდი ვინმე ჰგონია თავისი თავი. მე თევზით სავსე კალათი ძირს დავდგი და ავად შევუღრინე:

— თქვენი ენა არ მესმის.

კარელამ ალმაცერად გადმომხედა, ხოლო როცა გერმანელების ბინა დავტოვე, მისაყვედურა:

— სიბრიყვეს თავი ანებე, უფროსებთან მუდამ ზრდილობიანად მოიქეცი!

მე ჩემსას მაინც არ ვიშლიდი. მაშინ კარელა პაპამ „ბატისტვინა" მიწოდა. მის პატიოსნებაში ეჭვი შემეპარა. ეს აზრი გულზე მკბენდა. ერთხელ პირშიც ვუთხარი:

— მამაჩემის მკვლელს მონად არ გავუხდები! როგორც კი დროს ვიხელთებ, აქედან გავიქცევი.

კარელა პაპა გაბრაზდა.



— ჯერ ერთი, მამაშენი არავის მოუკლავს, — მითხრა მან. — მეორეც, ჭკუა მოიკრიბე და, ვიდრე გაქვს თბილი ჭერი და გაყინული თევზი, იყუჩე.

* * *

საშინელ წრიალსა და ქვემეხების გრუხუნში მიიწურა მოკლე ზაფხული. გავიდა შემოდგომაც. გაფრინდნენ იხვები, გედები... დარჩნენ მყვირალა თოლიები. დადგა გრძელი და ძნელი ზამთარი, შიშით, შიმშილითა და ტანჯვით აღსავსე. განუწყვეტლივ ზუზუნებენ თვითმფრინავები, განუწყვეტლივ გრიალებს ბარენცის ზღვაც. სიცივე ძვალ-რბილში ატანს. ძვირი სანახავია მზე. მძიმე, ნაცრისფერმა ღრუბლებმა დაბლა ჩამოიწიეს და მეთევზეთა პატარა დაბას ბურუსი წაეფარა. მკაცრი ზამთარი დაიჭირა და მე ალბათ სიცივისაგან კიდეც გავიფიჩხებოდი, რომ ევა დეიდას ჩემთვის ირმის ტყავისაგან თბილი ტანსაცმელი არ შეეკერა. მამაჩემის დაბამბული ჯუბაც გადამიკეთა. როცა მას ვიცვამ, მშობლის სითბოსა და სიახლოვეს ვგრძნობ.

მებადურის ოჯახში არ მაკლია ზრუნვა, არც სიყვარული, მაგრამ მტრის მოჯამაგირეობას ვერ ვეგუები. თვალი გაქცევაზე მიჭირავს. კარელა პაპა სულ დამუნჯდა. ევა დეიდაც დუმს და მე ყველასაგან მიტოვებული მგონია ჩემი თავი. როცა დარდი შემომაწვება, ბარენცის ზღვას მივაჩერდები. ზღვით ველი მამას, აქედან ველი ჩვენებს. „ზღვით მოდის ჩვენი ჯარი, მალე ფაშისტების სინსილა გაწყდება“, — თქვა ერთმა მეთევზემ. ეს ამბავი შინ მოვარბენინე. მაგრამ კარელა პაპამ ყველაფერზე ცივი წყალი გადამისხა.

— იმ ბრანგვსა და ყეყეჩს ამა ქვეყნისა არაფერი გაეგება და შენც სისულელეებს ყურით ნუ მომითრევ! — მკაცრად მიბრძანა.

ამის შემდეგ გრძნობების დამალვა ვისწავლე. ნათქვამსა და გაგონილს საიდუმლოდ ვინახავ. კარელასთან სიტყვა არ დამცდება. მას ფაშისტების კაცად ვთვლი. ასე ფიქრობენ მეთევზეებიც.

კომენდანტი, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, სისასტიკითა და ავკაცობით გამოირჩევა. მაგრამ ეს სულაც არ აწუხებს კარელას, მასთან მიგვაქვს საუკეთესო თევზით სავსე კალათა. ახალგაზრდა ირმის ფეშხოები. გულზვიად ბატონს კარჩხანას ქვირითი მოსწონს და მოხუცი მებადური არასოდეს რჩება მასთან პირშავად. თვითონ კომენდანტიც ერთგულ ყმად თვლის კარელას და ზოგჯერ ნასუფრალს შეუხვევენ ხოლმე. მაშინ მოირუშხება მოხუცი, ასეთ მოწყალებას თაკილობს, მაგრამ სამდურავი მაინც არ დასცდება.

ერთგული სამსახურისათვის ნება დართეს შეშა-ნახშირის საზიდად მეორე მარხილიც გაეწყო. გულზე შემომენთო.

— ნეტა რას იკლავს თავს, ვერა გრძნობს რომ მოხუცდა?!

ნათქვამი მეტად უხეში გამოვიდა და ევა დეიდამ შუბლი შეიკრა:

— აგრე ნუ ამბობ, ჭკვიანმა კაცმა თავისი საქმისა ჩვენზე უკეთ იცის.

შემრცხვა. კარელა პაპა ალბათ არაა მოღალატე. მოღალატეს ევა დეიდა არ დაიცავს. აკი კარელაც ამბობს, პატიოსნების ფასი მუშაკაცმა იცისო. თვითონაც მუშაა. მძიმე სხეული კვნესით აქვს ლუმელზე და, როცა თბილ კედელს ზურგს მიუფი-

ცხებს, შვებით ამოისუნთქავს. ეს მისთვის ყველაზე დიდი ფუფუნებაა. ოხვრა-წუწუნი არ უყვარს, ამიტომ ევა დეიდა ჩუმად ოხრავს, ტირის. არ იცის, რა ბედი ეწია მის ქმარს, დედას, ძმას, ნათესავებს. ზოგჯერ თვითონვე იმხნევებს თავს: „ტაისა მაინც სამშვიდობოს მყავსო“. მაგრამ რა იცის, სადაა სიმშვიდე და სად ანთია ცეცხლი! ასე გადის დრო. თვეობით გადათეთრებულ ტუნდრაზე ქარი ღმუის, ბორკილებშეხსნილი პოლარული ღამე ბატონობს. და ბატონობს საძულველი მტერიც. მაგრამ ადამიანი ჭირსაც ეჩვევა თურმე. მწვავე დარდმა უკან დაიხია და ყრუ ტკივილი დამიტოვა გულში, წლებთან ერთად გამოცდილებაც შევიძინე. გავხდი მებადური, ვისწავლე ირმების მოვლა და თხილამურებით სრიალი.

* * *

— კარელა პაპავ, დამრთეთ ნება, — მეთევზეებთან ერთად ზღვაში გავალ.

— ზღვაში რა უნდა გააკეთო, მით უფრო ამ შავ დროს? ახლა იქ თევზზე მეტი ნაღმი დაცურავს.

— ჩვენი მებადურები უბეს არ სცილდებიან, მეც მათთან ვიქნები.

— ჰო, ზღვას ახალგაზრდა კაცი უნდა იცნობდეს, სხვაგვარად არ იქნება, — ფიქრიანად თქვა და შინიდან გავიდა.

— ზამთარში კვლავ მარხილს დავუბრუნდები, — სიტყვა დავადევნე. იგი უკანმოუხედავად წავიდა. ახირებული კაცია და მის სიტყვას ვერ გადავალ. ამიტომ პასუხს დაველოდე. საღამოს თვითონვე მითხრა:

— წახვალ ანდრია ბუქასთან, იგი ჩემი მეგობარია და გიპატრონებს. სხვას ნუ ენდობი.

* * *

მეთევზე პომერებმა უნდობლად ამხედ-დამხედეს.

— პაპაშენი ხომ გავლენიანი კაცია, ზღვაზე რად გამოგიშვა, ჰა? — დამცინავად მკითხა ერთმა მეთევზემ.

— მინდოდა და იმიტომ გამომიშვა, — მკვახედ მივუგე. მივხვდი, კარელა პაპას იგი უნდო კაცად თვლიდა და გული დამწყდა.

ანდრია ბუქას ქოხში თევზის ქონისა და წეკოს მძიმე სუნი იდგა.

— ცურვა ხომ იცი? — მკითხა მასპინძელმა. უცებ სიმონ კოსტინის ნათქვამი მომაგონდა: „არ იცი? არა უშავს, არც ჯეიმს კუკმა იცოდა ცურვა“. — ეს იყო დიდი ხნის წინათ, ახლა ბუქას თავმომწონედ მივუგე:

— ვიცი და მერე როგორ! მთელი საათი გავძლებ წყალში. შიმშერიც ვერ დამეწევა.

მოხუცს გაეცინა. დაიჯერა, ცურვა რომ ვიცოდი. და მე ზღვაში გავყევი მებადურებს. მთელი ზაფხულ-შემოდგომაც მათთან გავატარე. კარელა პაპასავით მეც კორძები დამაჯდა ხელებზე, ქარყინვამ სახე დამისუსხა, შტორმული ქარები რომ დაიწყო, ისევ ირმებს დავუბრუნდი.

იმ დღეს ნაპირზე უთავბოლოდ ირეოდნენ სკაფანდრიანი მყვინთავები, ნორვეგიელი მეზღვაურები, გერმანელი ჯარისკაცები. იქვე შორიახლოს ტყვე მეზღვაურები მუშაობდნენ. ისე მოვახერხე მათთვის ცოტაოდენი წეკოს გადაცემა, რომ პოლიციელს არაფერი გაუგია. გამხდარმა ყმაწვილმა ხელით რაღაც მანიშნა. ვერ მივხვდი, მეორე დღეს ერთმანეთს თვალებით მივესალმეთ, იგი ნაგავს ხვეტდა. მე მარხილი ზედ მივაყენე და ყუთში ნაგავს ჩაყრა დავუწყე. შებადრაგეს არაფერი უთქვამს. გამხდარმა მეზღვაურმა კი ჩამჩურჩულა:

— გაქცევა მინდა.

უცებ გული შემიტოკდა.

— უნდა დამეხმარო.

— როგორ დაგეხმარო? — ვკითხე.

— არ ვიცი, როგორ! უნდა დამეხმარო კი!

— კარგი, ვიფიქრებ.

ამ სიტყვებით დავცილდით. იმ წუთიდან მოსვენება დავკარგე. ვფიქრობ, ვოცნებობ, მაგრამ ვერაფერ აზრს ვერ ვადგები. კარელა პაპას ვერ ვენდობი და საიდუმლო ბუქას გავანდე. იგი დიდხანს იჯდა მდუმარედ. ბოლოს დამპირდა დახმარებას. მეორე დღეს მისი ქოხის მახლობლად გადმობრუნებული ნავები ერთმანეთზე იყო მიწყობილი.

მეზღვაურს ანატოლი ერქვა. პირობის თანახმად, საღამოს ბინდბუნდში იგი ერთ-ერთი ნავის ქვეშ შეძვრა, გათოშილ მიწაზე გაწვა და გაიტრუნა. მე კი მებადურის ქოხის უკან წინდაწინ მომზადებული ლოდი ზღვაში გადავისროლე. მისი დგაფუნი ახლომახლო ყველამ გაიგონა. მე კიდევ — ყვირილი ავტეხე:

— ზღვაში კაცი გადავარდა... ტყვე ზღვაში გადავარდა! — შიშისაგან მართლაც ისე ვარ დაზაფრული, რომ ჩემს სიტყვაში არავის არ ეპარება ეჭვი.

ნორვეგიელი მცველები ნაპირზე დადგნენ და ქვევით ჩაიხედეს. ტალღები ქვის კედლებს გაავებით ეხეთქებიან. აქ გადავარდნილი კაცი გაქცევაზე ვერ იფიქრებს, ეს მებადრაგეებისთვისაც ნათელია. უკვე ბნელოდა. ტყვეები წინ გაირეკეს.

ანდრია ბუქამ დაბამბული ჯუბა გადმომიგდო და მეც მეზღვაურისაკენ გავქანდი. იქაურობა დავზვერე და ნავი ავაყირავე.

— ტოლია, ჩქარა! — ჩავჩურჩულე.

იგი გათოშილიყო და ვერ დგებოდა. წამოვაყენე, ჯუბა ჩავაცვი და მხარში შევუდექი.

ბუქას ქოხში სითბოა, არის ცხელი ჩაი და თევზის წვენი. მასპინძელი გარეთ დგას. ნაშიმშილარი ტყვე დაწყნარდა, გათბა, თვალებში გამოიხედა და ახლა დაღლილობამ უწია. ირმის ტყავგადაფარებულ ტახტზე წამოვაწვინე. ჯუბა დავახურე. მე ახალი საზრუნავი გამიჩნდა: ანატოლი ამაღამვე უნდა წავიყვანო აქედან, მაგრამ სად? კარებთან დგას ბუქა. ჩვენ გვდარაჯობს.

— შინ წავალ, ევა დეიდას გავანდობ, იგი დაგვეხმარება, — ვუთხარი ანდრიას. მან არაფერი მითხრა, კარს ბოქლომი დაადო და გასაღები იქვე შეინახა. მეც შინისკენ მოვუსვი.

კარელა პაპა ლუმელზე იწვა და თვლემდა. ევა დეიდა სამზარეულოში დავიმარტოხელე. ყველაფერი ვუამბე. შეეშინდა, მაგრამ უარი მაინც არ მითხრა.

— ფრთხილად მოიყვანე, არავინ შეგნიშნოს.

* * *

იმ ღამეს ამინდი უცებ შეიცვალა. ასეთი რამ ჩრდილოეთს საერთოდ სჩვევია. ამოვარდა შტორმული ქარი და ზღვისპირეთს წალეკვით დაემუქრა. მორებისაგან შეკრული ჩვენი სახლი სახიფათოდ აჭრიალდა. გვეგონა, სადაც არის ჰაერში ნაფოტივით აიტაცებდა. მაღალ ბოძებზე მავთულები ყურთასმენისწამღებად აწივლდნენ, აკვნესდნენ. დარდმა თუ შიშმა არ დამაძინა. ჩავიცვი, შუშაბანდში გავედი. ორმაგი და თანაც შეჭირხლული მინიდან ვერაფერი გავარჩიე. ის იყო ოთახში შებრუნებას ვაპირებდი, რომ ეზოში ფრთამოტეხილი ფრინველივით რაღაც ჩამოვარდა საშინელი ხმაურით. შიშისაგან გავითანგე, კედელს ავეკარი. შუშაბანდში ევა დეიდა გამოვარდა.

— რა მოხდა?

— რაღაც აფეთქდა თუ ჩამოვარდა.

— ვაი, სახურავს ახდიდა ქარი, — აწრიალდა, მზერა დაძაბა, — თვითმფრინავი უნდა იყოს ჩამოვარდნილი, — თქვა ბოლოს.

— თვითმფრინავი?! — ყურებს არ



ვუჯერი. უცებ მხნეობა და ცნობისწადილი მომემატა.

— მფრინავს უნდა დავეხმაროთ. იქნებ ჩვენიანია? — ვამბობ დაბეჯითებით.

— ასეთ ქარიშხალში საშიშია გარეთ გასვლა. აბა როგორ დავეხმაროთ? — ორჭოფობს ევა დეიდა.

— თოკს გავყვეთ.

— მაშ, მამას გავაღვიძებ, — თქვა და ოთახში შებრუნდა.

— მორჩა, კარელა პაპა უარს იტყვის, თვითონ არ წავა, არც ჩვენ გაგვიშვებს. — ხელი მაქვს ჩაქნეული, მაგრამ... იგი უჩვეულო სიმარდით წამოდგა, და გარეთაც გავიდა. შუშაბანდში ქარი შემოვარდა, ხიაწი შემოგვაყარა. მალე ქარიშხალმა კარელა პაპა უკანვე ბურთივით შემოაგდო. იგი კარს ზურგით მიაწვა და თოვლი დაიბერტყა:

— აქვე ახლოს არის, დამტვრეული არ უნდა იყოს, ცეცხლიც არ უკიდია, არც ადამიანის ჭაჭანებაა.

— კარელა პაპა, ნამდვილად თვითმფრინავია?

— ჰო, — თქვა და სკივრი აახრიგინა, ელექტროფარანი მოძებნა, ამას წინათ გერმანელი ჯარისკაცისაგან რომ იყიდა.

— ჩვენია თუ მტრისა? — არ ვეშვები მე.

— არ ვიცი.

— ახლა რა უნდა ვქნათ?

— ცხელი ფაფა ვჭამოთ! — ხუმრობს კეთილად, შემდეგ რძალს მიუბრუნდა:

— მე და თომაზო წავალთ, შენ აქ დარჩი. — ჩემს სახელს იგი საოცარი მახვილით წარმოთქვამს და მუდამ ვიცინი ხოლმე. ახლა არ მეცინება. დაძაბულსა და აღელვებულს გული თვითმფრინავისაკენ მიმიწევს. მინდა ახლოს ვნახო, ხელით შევეხო, ადამიანი ვიხსნა... შიში, სიხარული და ვაჟკაცობის გამოჩენის სურვილი შეიკრა, შენივთდა და ზეამიტაცა. ევა დეიდამ თბილ ქუდზე თივთიკის თავსაფარი შემომახვია, ხელთათმანები გამისინჯა და ხელი ნაზად მომითათუნა. კარელა პაპამ კარი გამოაღო. თოვლი ღრმაა და იქვე ჩავეფალი. სუნთქვა შემეკრა, მოცურავესავით მკლავები გავიქნიე.

— მომყევი, თომაზო. — მოხუცის ბუბუნა ხმა ქარმა აიტაცა. ქარიშხალს მთელი ძალით ვებრძვი და ინსტინქტით კარელა პაპას ნაკვალევს მივყვები. ფეხის გადადგმა მიჭირს, ერთი წაბორძიკება და, ქარი მზად არის ქეჩოში მტაცოს ხელი, ნამქერში გახვეული ცოცხლად დამმარხოს. ბორძიკ-ბორძიკით მივადექით თოვლში ჩაძირულ თვითმფრინავს. ირგვლივ შემოვუარეთ. მარჯვენა ფრთა და კუდილა მოჩანს. დანარჩენი თოვლშია ჩაფლული. კარელა პაპა ფრთას დააწვა და ღონივრად შეაჯანჯღარა. კაბინიდან ვიღაც გამოგვეპასუხა. მაშინ მოხუცმა მხარი შემაშველა და ზემოთ ავცოცდი, კაბინიდან თოვლი გადავხვეტე და მფრინავმაც გამოიხედა. გერმანელმა რაღაც მკითხა. ვანიშნე, „არ მესმის-მეთქი". — სადა ვარ? — ახლა რუსულად იკითხა.

— რიბაჩიოვოში, — მივუგე მე.

— მადლობა ღმერთს, ჩვენებთან ვყოფილვარ, — თქვა და საძვრენიდან თავი ამოყო, მაგრამ ფეხზე ვერ დადგა. ძვალი ჰქონოდა გატეხილი.

— მომეჭიდეთ, მე მომეჭიდეთ! — ჩავყვირე. მან თავი გაიქნია და მე ძირს ჩამოვხტი. კარელა პაპა უკან დაბრუნდა, კიბე მოათრია, თვითმფრინავს მიაყუდა და თვითონვე ავიდა. მფრინავმა ხუფი გასწია, კვლავ ამოყო თავი. როცა ბრგე კაცი დაინახა, საძვრენის ორივე კიდეს დაეყრდნო და წელამდე ამოიწია. კარელა პაპა ჯუბაში ჩააფრინდა და ძირს დაქაჩა. მფრინავი ახლა თავდაღმა აღმოჩნდა დაკიდებული. მოხუცი კიბიდან ჩამოვიდა და მფრინავი ზურგზე მოიკიდა. გერმანელმა მწარედ დაიკვნესა. გაკვალულ ბილიკს ფრთხილად გაუყვა კარელა პაპა. ქოხის კართან ევა დეიდა გვიცდიდა. მფრინავი კუთხეში მიდგმულ სკივრზე დასვეს. როცა კარელა პაპამ იარაღი ახსნა და ჯიბეები გაუჩხრიკა, იგი გაფითრდა. მოხუცმა რევოლვერი, ფინური დანა და დალუქული პაკეტი მაგიდაზე დაალაგა.

— მეზღვაური მომიყვანე, — უთხრა კარელა პაპამ ევა დეიდას.

უცებ დამცეცხლა. შიშისაგან ფერწასული ანატოლი მორიდებით შემოვიდა და მზერა ჩემსკენ გამოაპარა. მე პირი ავარიდე.

— ევა, ერთი თოკიც მომიტანე! — უთხრა კარელა პაპამ რძალს.

მუხლები მომეკვეთა, მაგრამ ძალა მოვიკრიბე და წინ დავუდექი.

— პაპა, რად გინდა თოკი?

— საჭიროა და მინდა! — მკვახედ მიპასუხა. შემდეგ ანატოლის ახედა.

— მეზღვაურო, სროლა ხომ იცი? აი, ეს შენ გამოგადგება, — უთხრა და რევოლვერი გაუწოდა.

— შენი ჭირიმე, კარელა პაპავ! — კისერზე შემოვეხვიე.

— ფეხებში ნუ მედები, — მითხრა მკაცრად და ევა დეიდას თოკი გამოართვა. შემდეგ ანატოლის და მე გვითხრა: — აჰა, ფარანი. წადით, კაბინა გულდასმით გაჩხრიკეთ, კიბეც თავის ადგილას შეინახეთ. შენ კი, რძალო, მალამო მომიტანე.

როგორც იქნა დავბრუნდით, მაგიდაზე დავაწყეთ: რაცია, პლანშეტი, ყურსაცვამი, კონიაკი და ორი ფილა შოკოლადი.

— ერთი ფილა პატრონს ჯიბეში ჩაუდეთ, ერთიც თქვენ გაიყავით, — გვითხრა მოხუცმა, თვითონ კი გერმანელს მოტეხილ ფეხზე მალამო დაადო. შემდეგ მაგრად შეუხვია.

ევა დეიდამ მაგიდაზე მოხარშული თევზი და თანაბრად დაჭრილი პურის

ოთხი ნაჭერი დააწყო, წვნიანი გაა-ცხელა. ტყვემ უარი თქვა ვახშამზე.

ვახშამს რომ მოვრჩით, მოხუცი გე-რმანელს მიუბრუნდა:

— მასპინძლის წესს უნდა გადავუ-ხვიო. შენ ჩემი ტყვე ხარ... და, ვიდ-რე სამშვიდობოს გაგიყვანდე, ხე-ლებს შეგიკრავ. — მფრინავმა ყველა-ფერი ვერ გაიგო, მაგრამ, როცა კა-რელა პაპამ მაჯებზე თოკი გადაუჭი-რა, ტუჩები მოიკვნიტა.

ევა დეიდამ სკივრიდან ამოალაგა ირმის ტყავის ბეწვშემოვლებული ჯუ-ბები, ბაბლის საბანი და ბრეზენტი კარვისათვის. ყველაფერი ნათელი იყო — კარელა პაპას რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული.

ტყვე მფრინავი ძალიან ფერ-მკრთალი იყო. ზოგჯერ ტკივილისაგან იღმიჭებოდა.

— გტკივათ? — ვკითხე.

— მტკივა.

— თქვენ ბავშვებს ჰკლავდით?

ასეთ კითხვას არ ელოდა და თვა-ლები დაჭყიტა.

— არა, — მომიგო ცივად.

— საბჭოთა ბავშვებს?

— არა.

— სტყუი, მაგრამ მე მაინც მეცო-დები. ჩვენთან იარაღაყრილ კაცს ძა-ღლიც არ ერჩის.

— რა საუბარი გაუმართე, ნათლი-მამად ხომ არ გინდა? — გაწყრა კა-რელა პაპა, — მტერი ბოლომდე მტე-რია, მასთან კუკუმალაობას ვერ ითა-მაშებ!

არაფერი მითქვამს, მაგრამ როცა მან ტყავ-ბრეზენტი გაიტანა, მაინც გავბედე და ტყვეს მაჯებზე გადაჭერი-ლი თოკი ცოტა შევუფოლხვე. მან მადლიერებით შემომხედა. წყალიც მთხოვა და დავალევინე.

— მზადა ხართ? — გვითხრა პაპამ და ტყვე ხელზე ატაცებული გაიყვა-ნა გარეთ.

— თქვენ არ მოდიხართ, ევა დეი-და? — გაოცებით მივაჩერდი მას.

— არა, ახლა არა, — მითხრა ჩუ-მად. თვალი ცრემლით ამევსო. მეგონა სამუდამოდ ვტოვებდი დედასავით საყვარელ ადამიანს.

— ჩვენ ხვალ ისევ ერთად ვიქნე-ბით. — მითხრა და გამიღიმა. თავი მიბრუის, არაფერი გამეგება.

წინა მარხილზე კარგად შეფუთუ-ლი ტყვე დააწვინეს. იმ მარხილზე პაპა მოთავსდა. მეორე მარხილზე ბრეზენტი და რეზინის ნავია დამაგ-რებული. მასზე მე და ანატოლი ვსხე-დვართ. პაპამ მკაცრად გვიბრძანა, ჩემი მარხილის კვალი წუთითაც არ დაკარგოთო.

ქარი ფლეთს იქაურობას. დამფრ-თხალ-გათოშილ სულიერთ თავშესა-ფარი მოუნახავთ. მხოლოდ ჩვენი მა-რხილები მისრიალებენ თოვლიანსა და ქარიშხლიან ტუნდრაში, გადადიან ნამქერის ზვინებზე, თეთრად თავმო-რთულ გორაკებზე, ბორცვებზე, გრძელფეხა ირმები არაფერს ეპუე-ბიან, შეუჩერებლივ გარბიან.

ერთხელ მამამ თქვა, ჩრდილოეთის სიცივე სამართებელივით სერავს სა-ხესო. მხოლოდ ახლა მივხვდი ამ შე-დარების სიზუსტეს.

მეყინება ფეხები, მეყინება ფრჩხი-ლები ხელებზე, მეყინება ცხვირი და განუწყვეტლივ ვისრეს. აქ ვერ იწუ-წუნებ. ქარის პირმოხეულ კივილში იკარგება ფიქრები, იკარგება მარხი-ლის კავის წრიპინი და დაღლილი ირ-მების ფრუტუნი. ალბათ რამდენიმე საათია გასული მას შემდეგ, რაც სამ-კვდრო-სასიცოცხლოდ შევეჭიდეთ პოლარულ სტიქიას და ასე მეგონა, ამ შერკინებას დასასრული არ ექნება-მეთქი. ან, ვინ იცის, წინ რა გველის. არც გზას ვიცნობთ, არც მარშრუტს. ამას კარელა პაპა საიდუმლოდ ინა-ხავს. ალბათ ასეა საჭირო. მტერი ახ-ლოს არის. ის ყოველ წუთს შეიძლე-ბა შემოგვეფეთოს. მაშინ წასულია ჩვენი საქმე: არა გვაქვს იარაღი და ცოტანი ვართ. ახლა მთელი იმედები წინამძღოლზეა. კარელა პაპა კი ჭკვი-ანი და გამოცდილია. მას შეუძლია ათასი მტერი მოატყუოს, სამშვიდო-ბოსაც გაგვიყვანოს. ვინ იფიქრებდა, თუ ასე სძულდა მას გერმანელი დამ-პყრობლები და ასე ამძიმებდა მოუხ-რელ ქედზე მტრის უღელი?

ჩვენმა მარხილებმა ტრამალისკენ გადაუხვიეს. გზა უფრო გაძნელდა. განრისხებული ქარიშხალიც, ამდენი შფოთვა-ხეთქებით, თითქოს დაიღა-ლა. ხმაჩახლეჩილი და მოტეხილი ცოტათი მოთვინიერდა, მაგრამ ჩემი გახევებული ხელები ამას ველარ გრძნობს. ილაჯგაწყვეტილს სული კბილით მიჭირავს. მარხილები მაინც მიჭრიან. კარელა პაპა ხშირად აჩე-რებს ირმებს. იქაურობას გაფაციცე-ბით ათვალიერებს. ყურს უგდებს, ჩვენც დაგვხედავს და კვლავ გზას განაგრძობს.

მარხილები უნაგირისებურ გორა-კებს შუა გასრიალდნენ და ჯუჯა ჩირ-გვნართან შეჩერდნენ. პაპამ როგორა ხართო, გვკითხა და თექის ჩექმებით თოვლი მიხვეტ-მოხვეტა. მშიერ-და-ქანცულმა ირმებმაც ფლოქვებით მი-ხვეტ-მოხვეტეს თოვლი, საკვებს ეძე-ბენ.

დასასრული შემდეგ ნომერში.

## სიმღერა

კვლავ სალამურის წკრიალი მესმის,
და ალუბლები ჰყვავიან თეთრად,
ფარას მიდენის პატარა მწყემსი
და აივნიდან გაჰყურებს დედა.
ჭახჭახებს მზეზე სოფელი დილის,
ციმციმებს ცვარი და სხივებს ფანტავს,
მიჰყვება ტყეში ჩაკარგულ ბილიკს
მწყემსი, რომელიც სახლიდან ჩანდა.
ხან გამოჩნდება, ხან ისევ შქერი
ფარავს და მიდის პატარა მწყემსი,
სოფლად ალუბლის ყვავილი მღერის
და სალამურის წკრიალი მესმის.

**მერმან ჯგუბურია.**

## მეც ფრთებს ვაშლი

თეთრი ნისლი გაიცრიცა,
ცა ციმციმებს
ცა ლიცლიცა,
ცის ციმციმში,
მზის ღიმილში
დედაჩემის თვალი ვიცან.
გადაირწა,
გადმოირწა
დახუნძლული ტოტი ვაშლის,
მღერის ზეცა,
მღერის მიწა,
სადაც არის, მეც ფრთებს გავშლი
და ჩიტივით ავფრინდები
ცის უსაზღვრო კამარაში.

**მზია ჩხეჭიანი.**

## წვიმა

უღვერმა გაჟღენთა
ნავი ყავარი,
ურთხმელის ტოტი
ქარმა აქანა,
ვენახის ბოლოს
მოვარდნილ ღვარებს
გზა გაუკვალა
პაპა ზაქარამ.

ჩაჰყვა შოლისპირს,
გზადაგზა დანით
შემოასწორა
ალადასტური,
მერე ოთახში
შემოიტანა
ვაზის, მიწის და
თამბაქოს სუნი.

**ლალი ჯაფარაშვილი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოცდამეოთხე ზაფხული



**მირონ ხერგიანი**
ფოტო ავტორისა.

სკოლაში ერთი ფაციფუცი სუფევდა. ბანაკის დირექტორმა თამარ არღვლიანმა ყველა რაზმს გაუნაწილა საქმე. მესტიელი მოსწავლეების მოსკოველი და თბილისელი თანატოლები ქუთაისიდან უნდა გადმოფრენილიყვნენ. ამინდიც მშვენიერი იდგა — ნამდვილი საფრენი. ლილისფერ ცაზე ერთი ღრუბლის ფთილა არ ზოზინებდა, თითქოს ბუნებაც ზეიმობდა სტუმრების ჩამოსვლას. პიონერხელმძღვანელები, მესტიის სკოლა-ინტერნატის პედაგოგები — თამილა ფალიანი და გულნარა ქალდანი წითელი კუთხის მოწყობაში ეხმარებიან ბავშვებს. ბორის ჩართოლანი და შერმადინ მჭედლიანი კი გარეთ, ეზოს მოწყობა დასუფთავებას ხელმძღვანელობენ. ლენჯერის საშუალო სკოლის ეზოს გულიანი მოვლა-პატრონობა ესაჭიროება, სამშენებლო მასალების ნარჩენებისაგან უნდა გაასუფთაონ, ფრენბურთის სათამაშო მოედანი უნდა მოაწესრიგონ — ვინ უწყის რა „ბრძოლები“ გაჩაღდება თბილისელ და მოსკოველ პიონერებთან ამ დღეებში!

მესტიის საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლემ თამილა ჯაფარიძემ და მისმა ამხანაგებმა ყოფილი სამასწავლებლო ოთახი გააწკრიალეს. ოთახის ერთ კუთხეში ბიჭების დახმარებით საკონცერტო დარბაზისათვის სცენა გამართეს. ბანაკში ცნობილი გახდა, რომ წლევანდელი სტუმრების უმრავლესობა მოსკოვის პიონერთა სასახლესთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრები — ლოკტეველები არიან. ჰოდა, ამ დარბაზში ამიერიდან მხატვრული საღამო-კონცერტები უნდა გამართულიყო. მოსკოველებთან ერთად ამ სცენაზე, რა თქმა უნდა, სვან პიონერთა და მოსწავლეთა ცეკვისა და სიმღერის გუნდიც სცდიდა ძალას.

ბანაკ „მეგობრობის“ მომღერლებს გარეთ, ეზოში, უზარმაზარი პანტის ქვეშ მოეყარათ თავი, მათ მესტიის აეროდრომზე მოსკოველი და თბილისელი მეგობრებისათვის სახელდახელო კონცერტი უნდა გაემართათ და ახლა სიმღერისა და ცეკვის მასწავლებლის ისლამ ფილფანის ხელმძღვანელობით რეპეტიციას გადიოდნენ.

მესტიის პირველი საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე ეთერ კახიანი და ემზარ გუჯეჯიანი ტრადიციულ ქართულ საცეკვაო ტანსაცმელში გამოწყობილან და სვანური საფერხულო „შინავორგილის“ ილეთებს იმეორებენ.

მალე საყვირის ხმამ შესძრა იქაურობა.

იგი ეზოს ჭიშკართან მოუხმობდა ბავშვებს.

მერე კი მესტიიდან ამოსულმა მანქანამ მოაბღავლა ბანაკს. პიონერები სათითაოდ აცოცდნენ ძარაზე და ბორის ჩართოლანის ნიშანზე მანქანამ აეროპორტისაკენ აიღო გეზი.

„ზეიმი აქვთ მტრედებს ცაში...
და ფოთლებმაც დაჰკრეს ტაში,
დილა, დილა მშვიდობისა...“

* * *

სტუმრებთან შეხვედრა მწვანე, თვალწარმტაც სათიბებში მოხდა. მთელი აეროდრომის პერსონალი, თვითმფრინავს მომლოდინე მგზავრები და სათიბში გამოსული კოლმეურნეები უცნაური სანახაობის მოწმენი

შესვენება ულვირის ტბასთან.

იყვნენ. მოსკოველებმა სახელდახელოდ გაშალეს მწვანე მოლზე თან წამოღებული მუსიკალური საკრავები. მოსკოვის 158-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ იურა ბაბკინმა სილაფონი აახმიანა, 178-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელმა ევგენი მაკაროვმა ბალალაიკა ააჟღერა, ოლია გლადიშევამ და ლენა ალექსეევამ უნგრული, რუსული და პოლონური ხალხური ცეკვები შეასრულეს. მოწონების ტაშს ბოლო არ უჩანდა. კონცერტის ბოლოს მოსკოველი პიონერების ხელმძღვანელი, მოსკოვის პიონერთა სასახლის ინტერნაციონალური კლუბის მეთოდისტი ლილი სლაშჩოვა მაყურებელს ესაუბრა რუსი პიონერების საქმიანობაზე, დიდი სამამულო ომის წლებში საყოველთაოდ სახელგანთქმული ადამიანის ვლადიმერ ლოკტევის მიერ დაარსებულ მოსკოვის პიონერთა სასახლესთან არსებულ ანსამბლზე.

სიტყვა წარმოთქვა მესტიელ, თბილისელ და მოსკოველ პიონერთა მეგობრობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ღვაწლმოსილმა პედაგოგმა ლილი ლისაგორსკაიამ. მან პიონერებს სიყვარულით მიულოცა მეგობრობის ოცდამეოთხე წლისთავი და უსურვა შემდგომი წარმატებები შრომაში, სწავლასა და პირად ცხოვრებაში.

სახელდახელო შეხვედრის პროგრამა ამოიწურა. მოსწავლეები ჟრიამულით აცვივდნენ მანქანაზე. ყველა სიხარულს აეტანა. წინ ხომ ხალისიანი დღეები ელოდათ...

ხალისიანი, მხიარული დღეები!

განა იმაზე დიდი სიხარული შეიძლება, უცხო კაცს სვანეთის დიდებული ბუნება, შეუდარებელი კონტრასტები, ხელთუქმნელი ძველი საყოფაცხოვრებო და ფორტიფიკაციული დანიშნულების ძეგლების ნახვა რომ მოგვვრის? მართლაცდა, შეუდარებელია სვანური ორსართულიანი საცხოვრისები, პირუტყვსათავსით — მაჩვიბითა და თივის შესანახავი დარბაზით, უჩვეულოა და წარმოუდგენლად ფანტასტიკური ხუთ-შვიდსართულიანი, კოხტად შელესილი მურყვამები, სვანურ საგვარეულოთა მშვენება. მომხიბლავია ჩანჩქერი შდუგვრა—ერთ-ერთი ულამაზესი სოფლის მაზერის ჩრდილოეთით, უშბის მისადგომებთან რომ გადმოშვებულა ქარაფიდან და ცხრათვალა მზის სხივებზე ათასფერად ლიცლიცებს. რომელი მხარე შეედრება სილამაზით ენგურის გადაღმა შეფენილ საძოვრებზე მდებარე ნასოფლარის ხეშკილდის მიდამოებს.

თუმცა უკეთესია ყოველივე ამის შესახებ ბანაკ „მეგობრობის“ სტუმრებს მივცეთ სიტყვა, უფრო სწორად,—ჩავიხედოთ მათ დღიურებში:

მარინე კოვალევა, მოსკოვის მეორე სპეციალური სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე:

„ამ კოშკების მსგავსი არაფერი მინახავს დღემდე. მურყვამი — როგორც მას სვანურად უწოდებენ, ისეთი მაღალია, მის ძირას რომ დადგე, ბევრიც ეცადო, საისრეებსა და ქონგურებს თვალს ვერ შეაწვდენ. მურყვამი, ჩვეულებრივ, საცხოვრებელი სახლის გვერდით დგას. ომიანობის დროს ოჯახები საცხოვრისიდან გადებულ საიდუმლო კიბით შეეხიზნებოდნენ ხოლმე მურყვამს. მისი პირველი სართული, რომელიც ძირითადად ლამის სათევად გამოიყენება, ფაქტიურად თანამედროვე კორპუსების სიმაღლეზეა. ეს იმიტომ, რომ მეტი სიმაგრისათვის ციხის კედლები რამდენიმე მეტრზე ქვადუღაბით ამოჰყავდათ. როგორც გვითხრეს, დუღაბის შემადგენლობაში, კირსა და ქვიშასთან ერთად ქერი და კვერცხის ცილაც შედიოდა თურმე. მათ სიმტკიცის გულისთვის ურევდნენ მშენებლები. ჩვენ ეს ძნელად დასაჯერებელი ამბავი მაინც ვირწმუნეთ, იმიტომ, რომ მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების გოლიათი შენობები ისე ზერელედ და უბრალო მასალით რომ ყოფილიყო ნაშენები, დღემდე ნამდვილად ვერ მოაღწევდა ამ სახით. კოშკის პირველ სართულზე ვნახეთ ბეტონში ღრმად ჩაფლული ქვაბები არყისა და სასმელი წყლის შესანახავად. ვნახეთ აგრეთვე ჭერიდან ჩამოშვებული ხორცის დასაკიდი ორკაპები. ზედა სართულზე ასვლა შეიძლება ვიწრო, მოფანფალებული კიბით და ადგილობრივი გულმაგარი ბიჭებისა და გოგონების დახმარებით“...

მარინეს ჩანაწერს თითქოს აგრძელებსო მისი უმცროსი მეგობრის,



გასეირნება უშგულის „ქუჩებში“.



პიონერხელმძღვანელი როენა გომთელიანი (მარცხნიდან პირველი) თამარის ციხის შესახებ ესაუბრება მოსწავლეებს.

652-ე საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე ა ლ ე ქ ს ი გ ა ლ დ ი შ ე ვ ი ს დღიური. აი რა ჩაუწერია მას:

„სვანურ კოშკს პირველი შეხედვისთანავე შეატყობთ, რომ მრავალი უბედურების მომსწრეა. კარგად თუ დააკვირდებით კედელს დატანებულ საისრე-სათოფურებს, მათს ირგვლივ უამრავ ნატყვიარს შეამჩნევთ. მაგრამ ყველა ტყვია ხომ არ ასცდებოდა მიზანს! ჰოდა, წარმოიდგინეთ ახლა, რა ტრაგიკული ამბები ხდებოდა ძველად ამ არემარეში. ხოლო ყოველივე ამას თუ წარმოისახავთ, მაშინ ადვილად ირწმუნებთ იმასაც, რომ სვანები გულადი და მამაცი მეომრები იყვნენ... და რომ, დღესაც აქ, ამ ცადაწვდენილ მთებში, ამ დაუდეგარ მდინარეთა ნაპირებზე მამაცი ადამიანები იზრდებიან...“

ალექსი გალდიშევის შეხედულებას ერთგვარად ეხმაურება თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე ა ნ ჟ ე ლ ა რ ე ვ ი ა ს ჩანაწერი:

„ჩვენი მესტიელი თანატოლები გულისტკივილით მოგვიყვნენ ცნობილი ქართველი მთამსვლელის, მსოფლიოში „კლდის ვეფხვის“ სახელით ცნობილი ადამიანის მიხეილ ხერგიანის ტრაგიკული დაღუპვის ამბავს. მართლაც, მშობლიურმა მთებმა არ გაიმეტეს იგი და შორეულმა დოლომიტებმა კი იმსხვერპლეს ასე ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე. ადგილობრივ პიონერებს თურმე ბანაკ „მეგობრობაში“ უნდა მოეპატიჟნათ მიხეილი, როგორც საპატიო სტუმარი, ნიჭიერ მოთხილამურეებთან—საბჭოთა ნაკრების წევრებთან ნათელა ფალიანსა და ბორია კახიანთან ერთად. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეხვედრა ვეღარ შედგა. ჩვენ ყველას დაგვწყვიტა გული სვანი თანატოლების ნაამბობმა. მაგრამ გვიხაროდა ის ამბავი, რომ მიხეილს ბევრი დარჩა თავისი სახელოვანი გზის გამგრძელებელი... პიონერებმა მის საფლავზე მინდვრის ყვავილები მივიტანეთ...“

ყველაზე უფრო უშგულმა აღაფრთოვანა მოსწავლეები. „—ძველი, ერთიანი სვანეთის დედაქალაქი უშგული ზღაპარივით დამახსომდა. ამდენი ერთად შეჯარული კოშკები მესტიაშიც კი არ გვინახავს, — ჩაწერა თავის დღიურში მოსკოვის 625-ე სკოლის მოსწავლემ მ ა რ ი ნ ე ბ ე რ ე ს ტ ო ვ ა მ —კოშკები ხომ მხოლოდდამხოლოდ თავდასაცავად გამოიყენებოდა, ჰოდა, ამიტომ მათი სიმრავლე თავისუფლებისა და მშვიდობისმოყვარეობის სიმბოლოდ გვესახება. უშგულს მიღმით უკვე კავკასიონის ქედია, ეგრეთწოდებული ბეზენგის კედელი. შიშისმომგვრელი სანახავია ამ გალავანივით კედლიდან ბიუსტებად გადმომდგარი აილამა, წურუნგალა ნამყვამი, შხარა და თეთნულდი, ყველა ისინი უმაღლესი სიძნელის კატეგორიის მწვერვალებს მიეკუთვნება. ამ თეთრი სასწაულების ფონზე უშგულის მურყვამებს რომ გაჰხედო, გენიალური მხატვრის შემოქმედება გეგონება — თითქოს ეს ორიათას ორას მეტრზე მდებარე სოფელი ვიღაცას კლდეთა ფერდობებზე მიუხატია..“

უშგულზე შთაბეჭდილებათა ნუსხა დაავგვირგვინა მოსკოველი პიონერების ხელმძღვანელმა ლ ი ლ ი ს ლ ა შ ჩ ო ვ ა მ. მან ჩემთან საუბარში განაცხადა:

— „ის ეჭვები და შიში, რაც მთელი მესტია-უშგულის გზაზე მოგვაცილებდა, ერთიანად გაგვიფანტა უშგულის სილამაზემ. ვფიქრობ, რომ ჩვენ მთავარი სანახავი მაინც ვერ ვნა-



მოსწავლეები ლამარიას ეკლესიის მისადგომებთან (მარჯვნიდან პირველი — ბანაკ „მეგობრობის“ დირექტორი თამარ არღვლიანი).

ხეთ, სამხრეთის მთაზე მწვერვალივით აღმართული, ღრუბლებში მიმქრალი თამარის ციხე. ალბათ ამჯერად არც გვეყოფოდა ძალა და ენერგია იმ სიმაღლეზე ასასვლელად, მაგრამ არა უშავს, დაე ამ შესანიშნავ ქვეყანაში ეს სტუმრობა იყოს მხნეობის მოკრება, გენერალური რეპეტიცია სტუმართმოყვარე საქართველოს ციხიონებზე და მიუვალ სოფლებში მომავალი ტურისტული იერიშებისა... იმედია, გაისად თამარის ციხესაც შეჰბედავენ ჩვენი ბავშვები, მოინახულებენ...“

როცა საღამოს ბინდბუნდში მოსწავლეებით სავსე სატვირთო ავტომანქანამ ბანაკის ჭიშკარს მიაბღავლა, პიონერები ერთგვარი სინანულის გრძნობით გამოერკვნენ—საინტერესო და დაუვიწყარი მოგზაურობა დამთავრდა. უშგულის სურათები ამიერიდან მოგონებებს მიეკუთვნებოდა!

ყველაფერს აქვს დასასრული.

ექსკურსიებისათვის იმდენი დრო აღარ რჩებოდა, მაგრამ მოწყენილობა როდი სუფევდა პიონერებში. მათ მესტიის კულტურის სახლის შენობაში მოაწყეს სამთა მეგობრობის 24-წლიან ისტორიაში ყველაზე დიდი საღამო-კონცერტი, რომელიც ვეტერან პიონერებთან შეხვედრას მიეძღვნა.

თითქმის მთელმა რაიონმა საკუთარი თვალით ნახა ლოკტეველების უზადო ხელოვნება, ისლამ ფილფანის აღსაზრდელთა მშვენიერი სიმღერები და ცეკვები. ხალხი გაეცნო მოსკოველ, თბილისელ და მესტიელ პიონერთა მეგობრობის ახალ ფურცლებს, მოუსმინა სახელოვანი მასწავლებლების, ამ დიდი მეგობრობის ყოფილი მონაწილეების გამოსვლებს.

მერე კი...

მერე ფერდობებიდან საღამო ჩამოეშვა. ბანაკი დასაძინებლად მიწვა. ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა. დუმდნენ მთები, მწვერვალები და მურყვამები... მხოლოდ ენგურიღა ხმიანობდა, ენგური და უშბის კალთებიდან ჩამომწყდარი ფუშყვერის ჩქერი— მომავალი მხიარული დღეების ექო.

1130

# ცამეტი კომუნარის ძეგლი

**ილია ფლიევი**

პატარა აზას.

აქ სიჩუმეა, სიმშვიდე სრული,
აღარც შრიალი გაისმის ქარის.
ო, ვინ შთაბერა ცამეტი სული
ზგუდერის მთაზე აზიდულ გრანიტს!

დასცქერის ძეგლი მშობლიურ ცხინვალს,
ჩრდილს გადააფენს: ხომ არ დასცხაო!..
ცამეტი მკერდი აქ დაიცხრილა
კომუნარული რწმენის საზღაოდ.

შენ ჯერ არ გესმის, პატარა აზა,
შენ ჯერ ბავშვი ხარ, ლამაზი ბავშვი,—
როგორ გუგუნებს ცამეტი გული
ლაჟვარდებისკენ ატყორცნილ ქვაში.

თვითონვე გასჭრეს სამარე ძმებმა,
თვითონვე სისხლი დაღვარეს აქვე
და აღიმართნენ გრანიტის ძეგლად,
კავკასიონზე დარაჯად დადგნენ.

ცამეტი გმირი აქ დაირაზმა
მენშევიკების ტყვიათა რკალში.
შენ ჯერ არ იცი, პატარა აზა,
შენ ჯერ ბავშვი ხარ, ლამაზი ბავშვი.

არ დაუჩოქეს გულღრძო ჯალათებს,
არც ამოოხვრა მოსვლიათ აზრად.
ცამეტი გული დღესაც ანათებს
შენი წილი ცის სივრცეებს, აზა.

აქ დაიხარჯა ცამეტი ვაზნა
იმ სკურმუხეთში, იმ სისხლის ღვრაში.
შენ ჯერ არ იცი, პატარა აზა,
შენ ჯერ ბავშვი ხარ, ლამაზი ბავშვი.

იბრძოლეს ქვეყნის საკეთილდღეოდ,
მტერს არ დაუთმეს მიწა მშობელი...
პატარა აზა, უნდა იმღერო
მათი სიცოცხლის საგალობელი.

უნდა იცოდე მათი სახელი,
მათი ცამეტი სახელი, აზა.
შენ არ ხარ მათი ტანჯვის მნახველი,
შენ ყვავილებში იზრდები ნაზად.

შენ ჯერ არ იცი, პატარა აზა,
შენ ჯერ ბავშვი ხარ, ლამაზი ბავშვი.
და ვერ ისვენებს ცამეტი გული
ზგუდერის მთაზე აზიდულ ქვაში.

აქ მიწას მათი სისხლი ატყვია,
ზაფხულის სითბო ყაყაჩოდ გაშლის.
მათ გააციეს, ცამეტი ტყვია
და ყვავილები ჩაგიწნეს თმაში.

ოსურიდან თარგმნა **ოთარ კუპრავამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა




მხატვარი ვ. მდინარაძე.

რევაზ ინანიშვილი

გოგი, მეექვსეკლასელი ფერმკრთალი, მაღალი ბიჭი, ბაღში შევიდა. ბაღი დათოვლილი იყო, თანაც ისევ თოვდა: მშრალი, მსუბუქი ფიფქები უწესრიგოდ ბორიალობდნენ ბურუსიან ჰაერში. გაზონებს შორის ჯერ არავის გაევლო.

გოგის ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაეყო, ნიკაპზე ლურჯი ფუმფულა კაშნე შემოეხვია, მაღალყელიან შავ ფეხსაცმელებს ფრთხილად ადგამდა თოვლზე და კაკლის მურაბასავით პრიალა თვალებით აქეთ-იქით იყურებოდა. ფიფქები ეცემოდნენ ფეტრის რუხ კეპზე, მხრებზე, სახელოებზე. ზოგი გორდებოდა და მიწაზე დადებულ თოვლს უერთდებოდა, ზოგი ზედვე რჩებოდა. თოვლი მხოლოდ წიწვოვანი ხეების ქვეშ არ იდო, იქ მიგრეხილ-მოგრეხილი ხმელი ფოთლები და ნემსებივით წამახული წიწვები ეყარა. ახლა ის ფოთლები და წიწვები შავად მოჩანდა. ყველაფერს მოწყენილობის იერი დაჰკრავდა, ქუჩიდან შემოსული ავტომობილების ხმაურსაც კი.

უცებ გოგი შედგა და თავი წინ წასწია, რაღაცას დააკვირდა. ხელები ჯიბიდან ამოიღო, რამდენიმე ნაბიჯი კიდევ უფრო ფრთხილად გადადგა, ისევ გაჩერდა, ისევ რაღაცას დააკვირდა და სახე თანდათან გაუნათდა. ერთი გაბარდული შავი ფიჭვის ძირში, მრგვლად მოხაზულ შავ მიწაზე, მაღალფეხება თეთრი ყანჩა იდგა, თავი ბეჭებზე დაედო, ვარდისფერი ნისკარტი წინ წამოეშვირა და სთვლემდა. გოგიმ ქვას დაუწყო ძებნა, იპოვნა, — გაზონების პირას გაყოლებული ტუიების ძირში. ერთი არ იკმარა, მეორე და მესამეც მოძებნა, ფრთხილად, ფეხისწვერებზე სიარულით ყანჩას გვერდიდან წამოუარა და, ათიოდე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, ქვა მთელი ძალით ესროლა. ქვა ჯერ ფუნჯივით დაშვებულ წიწვებს მოხვდა, მერე ფიჭვის ძირს და, უკან გადმოვარდნილი, ხტუნვა-ხტუნვით შეგორდა თოვლში. ყანჩა წინ წავარდა, კისერი დაიგრძელა, ფრთები მიწაზე წაათრია, რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა და ისევ შეჩერდა. წვრილ, უსაშველოდ აწოწილ ფეხებზე უმწეოდ ქანაობდა. გოგიმაც რამდენიმე ნაბიჯი წადგა წინ და ახლა მეორე ქვა ესროლა, მეორეს მესამეც მიაყოლა, მაგრამ ვერცერთი ვერ მოარტყა. ყანჩა აფლატუნდა, თოვლი ააფორიაქა და ტუიების ლობეში შეიყუჟა. გოგი მიხვდა, რომ ყანჩა ვერ ფრინავდა, კვალში გადახტა, ხელები ფეხბურთელთა მეკარესავით ასწია მკერდთან, უკანასკნელი ნაბიჯები სულ ფრთხილად, ფრთხილად წადგა და, როცა დარწმუნდა, უკვე მისწვდებოდა, უცებ წავარდა თოვლში. ყანჩა აფათქუნდა, გოგიმ ხელებში მისი ცივი, სველი ბუმბული იგრძნო; იმასაც მიხვდა, ყანჩამ ნისკარტი რამდენჯერმე დაჰკრა მაჯაზე, მაგრამ ხელები აღარ გაუშვია. ასევე, თოვლში მწოლიარემ მოიქცია ყანჩის ორივე ფეხი და ერთი ფრთა მარცხენა ხელში, წამოდგა და ახლა აფათქუნებულ მეორე ფრთაში წასწვდა. ყანჩა ნისკარტს სცემდა, მაგრამ იმდენად უნიათოდ, რომ სულ არ სტკიოდა. მეორე ფრთაც რომ დაუჭირა, გახარებული გაიქცა შინისაკენ. ყანჩა ძალიან მსუბუქი აღმოჩნდა თავის ტანთან შედარებით, გოგი შეჩერდა და ბეჭუბი მოუსინჯა: ხელში მხოლოდ ტყავგადაკრული წვრილი ძვლები მოხვდა, გული ეტკინა, მაგრამ მაშინვე გადაწყვიტა, რომ კარგად აჭმევდა და მალე მოაღონიერებდა.

გოგი დღიურებს წერდა და ამის შემდეგ, უმჯობესია, მისი ჩანაწერებიდან გავიგოთ, რა დაემართა იმ თეთრ ყანჩას. აი, რა ჩაწერა იმავე საღამოს, ჩვიდმეტ იანვარს, გოგიმ: „ბიჭები ძლივს გავრეკე, ჯერ ერთი, ყველას ტალახიანი და სველი ფეხები შემოაქვს შინ, დედა კი მეუბნება, მერე შენ მოსწმენდავ იატაკსო; მეორეც, ყურთასმენა აღარ არის იმათი ყაყანით; ყველას უნდა, ყანჩას ხელი მოჰკიდოს, აიყვანოს. მე არ ვუშვებ. მაშინ ჩაცუცქდებიან და პირდაპირ თვალებში შეჰყურებენ. გელას კი ჰკრა შიგ შუბლში ის გრძელი ნისკარტი!.. კიდევ კარგი, თვალი არ გამოსთხარა. ზოგი როგორ ეძახდა, ზოგი როგორ: ყან-ყან! ჩა-ჩა! წერ-წერო და ვინ იცის, როგორ აღარა. მამა რომ მოვიდა, სახელის დარქმევაში ის მოგვეხმარა. ჩვენ კარგი ვერაფერი მოვიფიქრეთ. დედამ თქვა, თეთრა დავარქვათო, მაგრამ „თეთრა" ძნელი დასაძახებელია. მამამ გვირჩია: უბრალოდ, ყანჩას „ყან" ჩამოაცილეთ და მშვენიერი სახელი „ჩა" დაგრჩებათო. ამაზე გელა ატყდა: „ჩა" ხომ პირველად მე მოვიგონე, მე არ ვეძახდი, — „ჩა-ჩასო?!" შენ ეძახდი და შენი მოგონილი იყოსო, — დაეთანხმა მამა. გელა ცას მოეწია სიხარულით. რაც მართალია, მართალია, „ჩა" კარგი სახელია, — ჩა! ჩა! შეგიძლია მელოდიაც კიააწყო. გასაოცარია, ჩემს ჩას მდინარის პირებისა და თევზის სუნი ასდის, მეტი ადგილი არა გვაქვს და სამზარეულოში, მაგიდის ქვეშ დავაბით. იდგა სულ დაღონებული, არც კი ინძრეოდა. თვალებში ძალიან დიდი გულგრილობა ეხატებოდა, თითქოს მისთვის ყველაფერი ამაო ყოფილიყოს, დატყვევებაც და არ დატყვევებაც. თუ ძალიან არ შეაწუხებდნენ, ნისკარტსაც კი არ გაატოკებდა. მაგრამ ბიჭები რომ წავიდნენ, საოცარი რამ მოხდა. ჩამ მაცივარზე შედგმული აკვარიუმი დაინახა, რომელშიც მე და გელას ორი ოქროს თევზი გვყავს. შიგ წყალმცენარეებიც არის, ფერადი კენჭებიც, ნიჟარებიც. წამოვიდა ჩა, დაიგრძელა კისერი, დაიგრძელა და ჩხინკ! — მინის კედელს, ჩხინკ! ჩხინკ! ხან აქედან ურტყამდა, ხან იქიდან, თევზების დაჭერა უნდოდა, თევზები დაფრთხნენ, დაბორიალდნენ. გადავირიეთ სუყველანი, აბა, იმ თევზებს ხომ ვერ შევაჭმევდი, თითოში ოთხმოცი კაპიკი მაქვს მიცემული, თან ყოველთვის კი არ იშოვება! აკვარიუმს გაზეთები ჩამოვაფარეთ, თორემ

ჩა არც თვითონ მოისვენებდა და არც თევზებს მოასვენებდა. ტაშტით წყალი დავუდგით, შიგ პურისგულები და ხორცის პაწაწინა ნაჭრები ჩავუყარეთ, მაგრამ ჩამ პირი არაფერს არ ახლო. მამამ თქვა: ქაფშია თევზი უნდა მოვუტანოთ, იმას შეჭამსო. წავედით, სულ შემოვიარეთ თევზის მაღაზიები, მაგრამ ქაფშია ვერ ვიშოვეთ. მაშინ თავწაჭრილი ვირთევზა ვიყიდეთ. პატარ-პატარა ნაკუწებად დავუჭერით და ისე მივეცით. მაგრამ არც ის შეჭამა ჩამ. მამა ამბობს, მოშივდება და შეჭამსო. საკვირველია, როგორც კი შებინდდა, ჩამ თავი ფრთის ქვეშ ამოიდო და დაიძინა. სძინავს დგომელლას, ვერაფერს შეატყობ, თავი, საერთოდ, თუ აქვს. აი, ახლაც გავედი სამზარეულოში, თერთმეტის ნახევარზე, დგას მაგიდის ქვეშ ქანდაკებასავით უძრავი და სძინავს. როგორ მოხვდა ამ შუა ქალაქში, საიდან გადმოვარდა, რა მტაცებელს დაუსხლტა, — რა უნდა გაიგო! მამა ამბობს, მთავარია დაისვენოსო. დაისვენოს.

თ ვ რ ა მ ე ტ ი  ი ა ნ ვ ა რ ი: წუხელ სულ ჩაზე ვფიქრობდი. მძინარესაც კი თვალწინ სულ ის მედგა. სიზმარში ვნახე, გამფრენოდა. დადიოდა ჩვენს სოფელთან, ივრის ჭალებში, ჭაობებში, ჩაყოფდა თავს წყალში, დაიჭერდა თევზს, ასწევდა კისერს მაღლა, თევზს გადაყლაპავდა და ეშმაკურად ჩამიკრავდა თვალს. გათენებული არ იყო, რომ წამოვხტი, გავედი სამზარეულოში და დავხედე. ისევ ისე უძრავად იდგა, ფრთისქვეშ თავამოდებული, და თითქოს არც სუნთქავდა. კარგად რომ გათენდა, მაშინ გამოყო თავი. გაიზმორა, ცალი ფეხი გვერდზე გასწია და კვლავ გაშტერდა. თვალებში ისევ გულგრილი გამომეტყველება ედგა. თევზის ნაჭრები წყლიან ტაშტში ჩავუყარე, ის გაჯიჯგნილი ვირთევზაც მივუტანე ნისკარტთან, მაგრამ პირი მაინც არაფერს ახლო. გელა დავარიგე, არ ეწვალებინა. თუმცა დარიგება ზედმეტი იყო, იმას ჩემზე ნაკლებად არ უყვარს. სკოლაში ბოტანიკის მასწავლებელს ვუამბე, ჩა რომ მყავდა, თან ვკითხე, რა უნდა ვაჭამო-მეთქი. ბაყაყებს და თაგვებს გეახლებათ დიდი სიამოვნებითო. ორი სათაგური დავუგე საკუჭნაოში, იქ თაგვები ბლომად არიან, თუ დავიჭირე, გვეშველება.

ც ხ რ ა მ ე ტ ი  ი ა ნ ვ ა რ ი: ორი წრუწუნა დავიჭირე. ჩავუყარე ტაშტში. ეცა, ერთიც იმ წამსვე გადაყლაპა, მეორეც. მაგრამ საოცარი რამ მოხდა, ყელში გაეჩხირა, ვერ ჩაყლაპა, ვერც ერთი, ვერც მეორე. უმწეოდ აჭყეტდა თვალებს და ნისკარტს ხან იქით მიიღებდა, ხან აქეთ. ბოლოს უკანვე ამოიღო თაგვები და დაღვრემილი გაჩერდა. მეორედ არც უცდია გადაყლაპვა. მესამე დღეა, მშიერია. გადავწყვიტეთ, აივანზე გაგვეყვანა და იქ დაგვესვა, სამზარეულოში გაზის სუნი თუ აწუხებსო. გავიყვანეთ. ტაშტიც იქ დავუდგით. ხან ყურძენი დავუყარეთ, ხან ვაშლის ნაჭრები და ნაფცქვენები, მაინც არაფერს მიეკარა.

ო ც ი  ი ა ნ ვ ა რ ი: ჩამ დღესაც არაფერი ჭამა. დგას გაშტერებული, ყველაფრის მიმართ გულგრილი. არ ვიცით, რა უნდა ვქნათ.

ო ც დ ა ე რ თ ი  ი ა ნ ვ ა რ ი: არც დღეს ჭამა ჩამ არაფერი. ერთადერთი ისლა დაგვრჩენია, ცოცხალი თევზები მივცეთ, ოქროს თევზები. მაგრამ დედაც გაწყრა და მამაც: თქვენ გიჟები ხომ არა ხართ, თითო ოთხმოცი კაპიკი ღირს, მაგას კი დღეში ათი ცალი არ ეყოფა, მთელმა ოჯახმა უნდა ვიშიმშილოთ, ეგ რომ გამოვკვებოთო. გელა ტირის, მეც მეტირება. რა ვქნათ, არ ვიცით. თანაც თოვს, ყინვაა, ამ დილას ცივი ქარიც იყო. ჩემი ჩა დგას და ფიქრობს, გულგრილად.

ო ც დ ა ო რ ი  ი ა ნ ვ ა რ ი: ჩა ისევ არ ჭამს. გვინდოდა, ძალით ჩაგვეყლაპებინა თევზის ნაჭრები, ნისკარტი გავუღეთ და ყელში თითით ჩავტენეთ, მაგრამ არ ჰქნა, უკანვე ამოიღო. ზოგი რას გვირჩევს, ზოგი რას. მგარამ არაფერი შველის, ჩას თვალები რაღაცნაირად ცუდად შეემღვრა.

ო ც დ ა ს ა მ ი  ი ა ნ ვ ა რ ი: ჩას ისევ არაფერი არ უჭამია. დედა და მამა ბრაზობენ, თქვენ თუ მაგას გადაყევით, ოხრადაც დარჩენილა მთელი საფრინველეთიო. მეშინია, ჩუმად არ გაუშვან.

ო ც დ ა ხ უ თ ი  ი ა ნ ვ ა რ ი: დღეს ჩა მე თვითონ წავიყვანე და, სადაც დავიჭირე, ისევ იქ დავსვი, ან თვითონ შეეცდება რამეს, ან იქნებ ისეთმა ვინმემ წაიყვანოს, რომელსაც ცოცხალი თევზებით გამოკვება შეეძლება. ყოველ შემთხვევაში, არ გვინდოდა, ჩვენს ხელში მომკვდარიყო. გელა ტიროდა, დედაც შეწუხებული იყო, მამაც, მე ხომ... ზოოპარკი მაინც გვქონდეს ამ ჩვენს ქალაქში, იქ ჩავაბარებდი. შევაჭერი კანაფის ნაწყვეტი ფეხზე, დავსვი ფიჭვის ქვეშ და წამოვედი. გელაც წამოვიყვანე. მე უკან აღარ მიმიხედავს, გელა იყურებოდა. ერთი საათიც არ გასულა, გულმა აღარ მომითმინა და ჩავედი. ჩემი ჩა იქ აღარ იყო. სულ შემოვიარე ბაღი, აღარსად იყო. ალბათ ვინმემ [illegible] წაიყვანა. ნეტავ ისეთმა ვინმემ [illegible] თუ წაიყვანა, ცოცხალი თევზებით გამოკვება შეეძლოს! იქნებ გაფრინდა კიდეც. არ ვიცი".

●

გავიდა იანვარი, დადგა თებერვალი, მაგრამ ზამთარი მაინც გრძელდებოდა, ხან თოვდა, ხან ცივი ქარი უბერავდა და ყინავდა, და მხოლოდ ხანდახან თუ გამოიჭვრიტებოდა ბურუსიდან ზამთრის ძალმილეული მზე. ისე ჩანდა, ჩა თითქოს ყველას დაავიწყდა, დაავიწყდა პატარა გელას და გოგისაც კი. მაგრამ, სინამდვილეში. ასე არ იყო. სკოლაში, შინ, საწერ მაგიდასთან თუ ლოგინში, გოგი ხშირად ფიქრობდა ჩაზე. გაიხსენებდა და გულზე მაშინვე მძიმე სევდა შემოაწვებოდა. ცოცხალი თევზებით გამოკვების საშუალება რომ ჰქონოდათ ჩა ისევ მათთან იქნებოდა. ნეტავი იმ ოჯახს თუ მაინც აქვს ამის საშუალება, ვისთანაც ჩა მათს შემდეგ მოხვდა. თუ გაფრინდა და თავის წყალჭალას დაუბრუნდა?! სულ ეჩვენებოდა, რომ კარგად ვერ მოიქცა. ვერც ის მოიქცა კარგად, ვერც დედა და ვერც მამა.

ერთხელ სიზმარში ნახა: ჩა თავის ჭალებს დაბრუნებოდა. ეს ისევ ივრის ის ჭალები იყო, ჩვიდმეტ იანვარს რომ ნახა სიზმარში. ჩა დინჯად, გაბრწყინებული თვალებით მოდიოდა მისკენ, თავის გრძელ, კრიალა ფეხებს ნელ-ნელა სწევდა მაღლა და ნელ-ნელავე უშვებდა წყალში, მოუახლოვდა, მოუახლოვდა. თვალები ზედ თვალებთან მიუტანა, და გოგიმ უცებ დაინახა, რომ ეს ყანჩასი კი არა, გელას თვალები იყო, დიდი, თბილი, საყვარელი თვალები და გამოეღვიძა.

გარეთ თოვდა, ოთახში თეთრი სინათლე შემოდიოდა. გოგიმ გელას გადახედა, ის არხეინად იწვა, მარჯვენა ხელი ლოყის ქვეშ ამოედო და ოდნავ პირგაღებულს ეძინა. გოგი გადაიწია და შუბლზე აკოცა. მერე საბანში გაეხვია და დაიძინა, მაგრამ ძილში ისევ ჭალებს, ჭაობებს, ზედაპირგაპრიალებულ გუბეებს და თეთრად გაელვებულ ყანჩის ზურგებს ხედავდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულგარული პოეზია

ბანჩო ბანოვი

## ბიჭი და შადრევანი

შადრევნის ხვრელს,
ირგვლივ ცქერით,
დააჭირა ბიჭმა ხელი.

და მოგჭამა წყალმა ჭირი,
მიწამ უყო თითქოს პირი.
წუთს გასტანა მხოლოდ ამან,
იგრიალა უცებ წყალმა, —
მოისროლა განზე ბავშვი
და
ავარდა
ისევ
ცაში.

ტანის რხევით
ჩქეფდა ჭავლი: —
ვიყარეო ცელქზე ჯავრი.

ხოლო ცელქი,
როგორც ჭინკა, —
გაწუწული
სკუპდა
იქვე.



## ჩიტი

ხომ ხედავ, რომ აქა,
სხვა სიკეთის გარდა,
გალობასაც, ჩემებრ,
ბარაქას ვერ ვატან!

— გალიაში გყავარ
დამწყვდეული რატომ? —
საყვედურით ხმაში
ჩიტმა უთხრა პატრონს. —

— რომ გაგიშვა გარეთ, —
ჩიტს მიუგო კაცმა, —
გამოგიყვანს წირვას
უეჭველად კატა!

— თუკი ეგრე კარგად
იცი ჩემი ფასი,
გალიაში მაშინ
თვითონ კატა ჩასვი.

თარგმნა
მუხრან მაჭავარიანმა.



სლავ კარასლავოვი

## ბალადა თავისუფლებაზე

სძინავს მთელ ქალაქს,
ის კი მიჰქრის
ფრთხილად და მხნედა,
არ უწერია შესვენება
ბრინჯაოს მხედარს...
სძინავს მთელ ქალაქს,
მარად ცეცხლთან
მე ვდგავარ მარტო,
გმირთა სულივით
სუნთქავს ცეცხლი,
ელავს და მათბობს.
სულის სითბოთი
გაყინული სიმშვიდე გალხვა,
რევოლუციის ჯარისკაცნო,
სადა ხართ ახლა!
გამოარღვიეთ უკუნი და
გაჰფანტეთ ბნელი,
მოდით,
ძველებურ გავისველოთ
ცოტ-ცოტა ყელი;
გავუზიაროთ კვლავ ერთმანეთს
კარგიც და ავიც,
თქვენ ხომ ბრძოლაში
ამ დღისათვის
გასწირეთ თავი!...

გმირთა-გმირებმა
ჩაგრულ ერებს
ხუნდები დახსნეს,
მშვიდობის დილა გაუთენეს
ბალკანელ ხალხებს.
ჩემს ხალხსაც ჰყავდა
გმირთა წყება —
ბრძოლით მავალი:
ლევსკი,
კორაჯა,
დიმიტროვი
და სხვა მრავალი!..
გმირნო,
უკვდავი თავმდაბლობა
მხიბლავს მე თქვენი, —
აქ ჩამოსვლისას
პირველ რიგში
ვეწვიე ლენინს!
ერთი უბრალო,
ერთი მყუდრო
ოთახი ვნახე —
განთიადივით მომეგება
ლენინის სახე.
მან ყველაფერი
უხვად გასცა
ჩემთვის და შენთვის,
ხოლო თავისთვის
დაიტოვა
მაგიდა ერთი
და — უძილობა,
უკვდავებად რომ იქცა მერე,
თავისუფლების სიხარული
რომ მისცა ერებს!..

რევოლუციის ჯარისკაცნო! —
სადა ხართ ახლა!
ანთია ცეცხლი და სიმშვიდის
ყინული გალხვა.
თასი სავსეა
ღვინითა და გრძნობებით ნაზით,
უბრალოების სადღეგრძელოს
ვსვამ მე ამ თასით!

თარგმნა გივი ძნელაძემ.



# ქართული საბჭოთა არქიტექტურა

სიმონ კინწურაშვილი





სასტუმრო „ივერია“. არქიტექტორი ო. კალანდარაშვილი.

სოციალისტურ ეპოქაში არქიტექტურას ახალი დანიშნულება, ახალი მიზანი აქვს — საზოგადოების რჩეულთა ვიწრო წრეს კი არ ემსახურება, არამედ მთელ საზოგადოებას, ყოველ მშრომელ ადამიანს. მან ადამიანის გარშემო უნდა შექმნას შრომისა და დასვენებისათვის მოხერხებული ხალისიანი, ნათელი გარემო. სწორედ ამისთვის იღწვიან საბჭოთა არქიტექტორები.

განვითარების რთული და საინტერესო გზა განვლო ქართულმა სოციალისტურმა არქიტექტურამ. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების, სოფლების, კურორტების განაშენიანების მაგალითზე ნათლად ჩანს ამ გზის ყველა დამახასიათებელი მომენტი.

1921 წლისათვის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს, ჩვენში თითქმის მთლიანად დაკარგული იყო ეროვნული ხუროთმოძღვრული ტრადიციები. და ეს მოხდა იმ ქვეყანაში, სადაც საუკუნეების მანძილზე, თაობიდან თაობას უწყვეტად გადაეცემოდა თავისებური, ხალხურ ტრადიციებზე დაყრდნობილი, მონუმენტური არქიტექტურის მაღალმხატვრული მემკვიდრეობა. ეროვნული, ხალხური ტრადიციები XIX საუკუნის პირველ ნახევარში კიდევ ცოცხლობდა ფართო აივნით, მოხარატებული მოაჯირებით დამშვენებულ ე. წ. „თბილისურ სახლებში“, რომელთა თითო-ოროლა ნიმუში შემორჩენილია ძველი თბილისის უბნებში. მომდევნო წლებში ესეც გაქრა. იყო ორიოდე ცდა ძველი ტრადიციების გაცოცხლებისა. მაგალითად: ქაშვეთის ეკლესიის აშენება სამთავროს XI საუკუნის ტაძრის მიბაძვით, აგრეთვე ძველი ქართული ძეგლებიდან გადმოხატული ორნამენტებით შემკული სათავადაზნაურო ბანკის (ახლანდელი საჯარო ბიბლიოთეკა) შენობის აგება. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ცალკეული ცდები, რომელსაც არ შეეძლო გავლენა მოეხდინა ძირითად მიმართებაზე. ამასთან, ამ ნაგებობების არქიტექტურა არსებითად ახალს არაფერს ამბობდა — ისინი გარედან შემოსეს ძველი ქართული სამოსელით, ისე, როგორც სხვა შენობებს „ალამაზებდნენ“ ძველი ბერძნული, ძველი რომაული ან ძველი გუთური არქიტექტურის დეტალებით. თუმცა, აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს პროგრესული მოვლენებიც, რომლებიც ამავე პერიოდში მოხდა: თბილისში ბევრი ჩამოსული, ნამდვილი პროფესიონალი რუსი და ევროპელი არქიტექტორი მოღვაწეობდა, რომლებმაც კარგი კვალი დაატყვეს ქალაქის ცენტრალური ქუჩების განაშენიანებას; ქუჩების გაყვანა და გაშენიანება დაიწყო გეგმიანად, წინასწარ გააზრებული პროექტების მიხედვით, გაუმჯობესდა ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობა და სხვ.

იმ დროს არავინ ზრუნავდა ეროვნული ხუროთმოძღვრების კადრების მომზადებისათვის. ქართველ არქიტექტორებს ცალი ხელის თითებზე ჩამოთვლიდი. მათ შორის გამოირჩეოდა სვიმონ კლდიაშვილი, სათავადაზნაურო გიმნაზიის (ახლანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის) ავტორი.

თბილისში, საქართველოს სხვა ქალაქებსა და დაბებში, სავალალო მდგომარეობაში იყო ქუჩები, ტრანსპორტი, არ იყო წყალსადენი და კანალიზაცია. ქალაქები იზრდებოდა კაპიტალისტური ქალაქისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებით — მეტ-ნაკლებად კეთილმოწყობილი არისტოკრატთა ცენტრალური უბნები უპირისპირდებოდა მოუვლელ, ღვთის ანაბარად მიტოვებულ მუშათა გარეუბნებს.

ასეთი მემკვიდრეობა დახვდა, არქიტექტურის დარგში, ახალშექმნილ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარება რამდენიმე ეტაპად იყოფა. თვითეული ეტაპი ემთხვევა საბჭოთა საზოგადოების სამეურნეო თუ პოლიტიკური განვითარების სათანადო მონაკვეთს. თავისთავად ცხადია, რომ პირველი ეტაპის, ოციანი წლების, საზრუნავი იყო მსოფლიო და სამოქალაქო ომებისა და მენშევიკების ბა-



გაგრა. დასასვენებელი სახლი.
არქიტექტორი ნ. ს ე ვ ე რ ო ვ ი.

ტონობის დროს მიყენებული ზარალის ლიკვიდაცია, მეურნეობის აღდგენა. მაგრამ უკვე ამ წლებში აგებულ ნაგებობებში იგრძნობა მისწრაფება — შეიქმნას ახალი, საბჭოური ეპოქისათვის შესაფერისი არქიტექტურა. სოციალისტურმა მშენებლობამ სრულიად ახალი, ჯერ არნახული თემები წარმოქმნა — მუშათა სასახლე და კლუბი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ჯანმრთელობის კერები კურორტებზე, საბავშვო ბაღები და ბაგები... და ყველაფერი ეს უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი, სასარგებლო და მოსაწონი მშრომელი მასებისათვის.

ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი ნაგებობებია ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის კომპლექსი და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის რეკონსტრუირებული ფასადი თბილისში. ამ ნაგებობებში, გარდა დანიშნულების შესაფერისი გეგმის კარგი გააზრებისა, ლოგიკურად არის გამოყენებული ძველი ქართული ტრადიციული მოტივები — თაღედის შეხამება გლუვი კედლის სიბრტყეებთან, ჩუქურთმის ხმარება და სხვ. ზაჰესის კაშხალთან, მცხეთის ჯვრის ქვემოთ, დაიდგა ვ. ი. ლენინის ერთ-ერთი პირველი ძეგლი საბჭოთა კავშირში. ეს ანსამბლი საბჭოთა არქიტექტურაში ძველი და ახალი ხუროთმოძღვრებისა და მონუმენტური სკულპტურის ურთიერთშერწყმის საუკეთესო ნიმუშთაგანია.

ამავე პერიოდში ძირითადად გადაწყდა მნიშვნელოვანი საკითხი — თბილისის სამხატვრო აკადემიაში და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არქიტექტურის ფაკულტეტებზე, გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნის გიორგი ჩუბინაშვილის და ხუროთმოძღვრების ა. კალგინის, ნ. სევეროვის, მ. კალაშნიკოვის, მ. მაჭავარიანის, ყირქესალის ხელმძღვანელობით, დაიწყო ადგილობრივი არქიტექტურული კადრების მომზადება. უკვე 30-იანი წლებისათვის ამ ახალგაზრდა, საბჭოურმა თაობამ ძირითადად იტვირთა რესპუბლიკაში ფართოდ გაშლილი მშენებლობის პროექტებით უზრუნველყოფა.

30-იანი წლებისათვის საბჭოთა სახელმწიფო მოღონიერდა: განვითარდა ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა, ამან შექმნა წინაპირობა ქალაქად და სოფლად დიდი მშენებლობისათვის, რამაც მაშინვე იმოქმედა არქიტექტურაზე — დაიწყო მთლიანად საბჭოთა არქიტექტურის განვითარების მეორე ეტაპი. ეს იყო ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური ქართული საბჭოთა არქიტექტურის ძიების პერიოდი. ამ დროს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა აგრეთვე პროფესიული ოსტატობის სრულყოფას, როგორც ძველი, ქართული ეროვნული ტრადიციების, ისე სხვა ხალხების ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის, კლასიკური არქიტექტურის ნიმუშების შესწავლას. აქ ცდუნებაც იყო — ბრმად, ყოველგვარი შემოქმედებითი მიდგომის გარეშე გაგემეორებია ძველი ნიმუშები. ზოგჯერ ასეც ხდებოდა. მაგრამ ამ დროის წამყვან ნაწარმოებებში ჩვენ ვხედავთ ნამდვილ შემოქმედებით მიღწევებს.

ამ პერიოდში ფართოდ გაიშალა ქალაქების, სოფლების მშენებლობა და რეკონსტრუქცია. დაიწყო კურორტების — წყალტუბოს, ბორჯომის, გაგრისა და სხვათა განაშენიანება. მეტად მნიშვნელოვანი იყო თბილისის რეკონსტრუქციისა და განაშენიანების პირველი გენერალური გეგმის შედგენა. ინტენსიურად გაიშალა საბინაო მშენებლობა.

საქართველოს ხუროთმოძღვრული ცხოვრებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საკავშირო კონკურსების ჩატარებას, რომლებმაც გამოავლინეს ახალგა-



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
არქიტექტორები ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. გაბაშვილი.

ზრდა, ნიჭიერი ქართველი ხუროთმოძღვრები. ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ორი დიდი ობიექტის — საქართველოს სსრ მთავრობის სახლის ზედა კორპუსისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობის აშენება. ორივე ნაგებობაში გამოყენებული იქნა ახალი სამშენებლო მასალები და კონსტრუქციები, ადგილობრივი მოსაპირკეთებელი ბუნებრივი ქვები, მოიწვიეს ქვაზე და ლითონზე კვეთის ხალხური ხელოსნები... ამ შენობებმა ახალი ჟღერადობა მიანიჭეს, როგორც რუსთაველის პროსპექტის, ისე მთლიანად მთელი თბილისის არქიტექტურას. ასევე მნიშვნელოვანი იყო 30-იან წლებში ფუნიკულიორის ზედა სადგურის, მოსკოვში საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს სსრ პავილიონის, თბილისის „დინამოს“ სტადიონის აშენება.

დიდმა სამამულო ომმა დროებით შეაფერხა საბჭოთა არქიტექტურის განვითარება. მაგრამ დამთავრდა თუ არა ომი, მთელს ჩვენს სამშობლოში გაშლილმა მშენებლობამ დიდი ამოცანები დასახა საბჭოთა ხუროთმოძღვრების წინაშე: საჭირო იყო ომით დანგრეული ქალაქებისა და სოფლების, მთელი სამრეწველო რაიონების უმოკლეს ვადაში აღდგენა და ახლებურად განაშენიანება. პარალელურად მიმდინარეობდა ინტენსიური მშენებლობა იმ რაიონებშიც, სადაც ომის ქარცეცხლი არ დატრიალებულა.

დიდი მშენებლობა გაიშალა საქართველოშიც: მწყობრში ჩადგა მეტალურგიული კომბინატი რუსთავში, საავტომობილო ქარხანა ქუთაისში, ბამბეულის კომბინატი გორში და სხვ. ამას შედეგად მოჰყვა სრულიად ახალი დასახლებების (თბილისში, ქუთაისში, გორში) და ქალაქების დაპროექტება და განაშენიანება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სსრ მთავრობის სახლის წინა კორპუსის მშენებლობა. თაღედის მსუბუქი პროპორციებით, მაგრამ მონუმენტური იერით იგი წამყვანი ნაგებობა გახდა არამარტო მთლიანად მთელი კომპლექსისათვის, არამედ პროსპექტის განაშენიანებისათვისაც. ეს ეტაპური ნაწარმოებია ქართული საბჭოთა არქიტექტურისათვის. მასში ახალი იდეური ჟღერადობა მიიღო შემოქმედებითად გამოყენებულმა ქართულმა ხუროთმოძღვრულმა ტრადიციებმა: რელიეფის გონივრულმა გამოყენებამ, გეგმის მკაფიო გადაწყვეტამ, მოსაპირკეთებელი ქვის ფერადოვანი გამის მხატვრულმა გამოყენებამ, ორნამენტის ლოგიკურმა ხმარებამ და ა. შ.

მაგრამ ამ პერიოდის საბჭოთა არქიტექტურაში, სამწუხაროდ, შეცდომებიც იყო. ხუროთმოძღვრები ცდილობდნენ ნაგებობებს რაც შეიძლება მეტად გამოჩინებული, ხშირად კი — გრანდიოზული იერი ჰქონოდა. ასე ემსგავსებოდა საცხოვრებელი სახლები ან სანატორიუმები დიდკოლონებიან სასახლეებს. ყველგან, საჭირო იყო ეს თუ არა, სახლებს ამკობდნენ ორნამენტებით. უფრო ხშირად ქვის ჩუქურთმას ცემენტით ან სხვა მასალით ასრულებდნენ, რაც მას პირვანდელ სიწმინდეს უკარგავდა. ამასთან ამ ჩუქურთმების ნახატს ბრმად იხატავდნენ ძველი ძეგლებიდან, უფრო ხშირად — სხვადასხვა პერიოდის ძეგლებიდან. ავიწყდებოდათ, რომ არამარტო ძეგლის პროპორციები, მასები და გეგმა იცვლებოდა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, არამედ იცვლებოდა ორნამენტის ნახატიც.

მაგალითად, ჯვარის მონასტერზე სხვაგვარი ნახატი და ხასიათია ჩუქურთმისა, სვეტიცხოველზე ან ბეთანიის მონასტერზე კი სხვა. თანამედროვე ნაგებობაზე ყველა მათგანის ერთად, შემოქმედებითი ჩარევის გარეშე გადმოტანა და უადგილო ადგილზე მიკვრა, რა თქმა უნდა, არ იყო ლოგიკური. „ქალაქური“ მოდა სოფელშიც გადავიდა, ასე გაჩნდა იქ ცემენტის უზარმაზარი საპარადო კიბეები, რომლებიც ზოგჯერ საცხოვრებელზე ძვირიც ჯდებოდა და უმასშტაბოდაც გამოიყურება. სოფლის კლუბის ფასადებს ამსგავსებდნენ დიდი თეატრების შესასვლელებს, ხოლო ავიწყდებოდათ თვით დარბაზის და სცენის მოხერხებულობა... ყველაფერი ეს აძვირებდა მშენებლობას, აძნელებდა ახალი სამშენებლო მასალების, ახალი მოხერხებული კონსტრუქციების გამოყენებას. ამიტომ იყო, რომ 50-იანი წლების დასაწყისში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ მიუთითეს საბჭოთა მშენებლებს და არქიტექტორებს არსებულ ნაკლოვანებებზე.

სწორედ 50-იან წლებში იწყება ახალი პერიოდი საბჭოთა არქიტექტურაში. ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში ინერგება საბინაო მშენებლობის ტიპობრივი პროექტები და ინდუსტრიული მეთოდები — სახლები იგება მსხვილი ბლოკებით, პანელებით, მზა კონსტრუქციებით (გადახურვები, კიბეები და სხვ.), რომლებიც ქარხნებში მზადდება და ადგილზე იწყობა. ეს აიაფებს, აჩქარებს მშენებლობას. იქმნება იმის რეალური პირობები, რომ უახლოეს წლებში გადაიჭრას მნიშვნელოვანი პრობლემა — ყველა ოჯახი უზრუნველყოფილი იქნეს ბინით. სხვა ხერხით, ასე მოკლე ხანში განა შეიძლებოდა დიდი საცხოვრებელი მასივების — საბურთალოს ან დიღმის, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში დიდი საცხოვრებელი უბნების

წყალტუბო. სააბაზანო №9. არქ. ი. ზაალიშვილი, ვ. კედია. რესტორანი „იორი“ (თბილისის ზღვა). არქიტექტორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.





განაშენიანება? ახლა მთავარი ამოცანაა გაუმჯობესდეს მასიური მშენებლობის ხარისხი და ახალი კვარტალების კეთილმოწყობა.

უკანასკნელ წლებში ქართულ საბჭოთა არქიტექტურას დიდი შემოქმედებითი მიღწევები აქვს. რკინა-ბეტონის, მინის, ლითონის და სხვა ახალი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების ფართოდ გამოყენებამ არქიტექტორებს საშუალება მისცა მეტი სიმსუბუქე, მოხდენილობა მიენიჭებინათ ნაგებობებისათვის. ანაკრეფი რკინა-ბეტონის თამამი გამოყენების მაგალითია თბილისში სპორტის სასახლე, რომლის 72-მეტრიანი გუმბათი უსაყრდენოდ არის გადახურული. მხატვრულად მნიშვნელოვანია თბილისის ზღვაზე რესტორან „იორის“, კამოს ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის, წყალტუბოში № 8 და № 9 საბაზანოების, სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის და სხვა ნაგებობების არქიტექტურა. ქართული საბჭოთა არქიტექტურის დიდ მიღწევებზე ისიც ლაპარაკობს, რომ დიღომში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ახალი შენობის არქიტექტურამ შ. რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. ამ ნაგებობის მთავარი ფასადის ფანჯრების ოთხი ჰორიზონტული ზოლი კარგად არის შეწონასწორებული, ერთის მხრივ, მთავარი ვესტიბულისა და საკლუბო ნაწილის დაბალი, გლუვი კედლით და საპარადო შესასვლელით, ხოლო მეორე მხრივ — დახურული ფიზკულტურული კომპლექსის კუბური მასივით. ყველაფერი ეს, ერთად გაერთიანებული, კარგად არის მორგებული რელიეფზე. შინაგანი გეგმა სწორად არის დიფერენცირებული. მასში გამოიყოფა ორსინათლიანი, საპარადო და თან ინტიმური ვესტიბული. ცალკე აღნიშვნის ღირსია თბილისის ბარათაშვილის სახელობის ორიარუსიანი ხიდი და, განსაკუთრებით, სასტუმრო „ივერიის“ სიმაღლოვანი შენობა. ეს უკანასკნელი ობიექტი მრავალმხრივ არის საინტერესო — ჩინებულად არის შერჩეული ადგილი მაღალი შენობისათვის ქალაქის მთლიან სილუეტში; ძირითადად სწორად არის გადაწყვეტილი შენობის მასშტაბი; კარგია ჰორიზონტული, სასადილო ბლოკის და ვერტიკალური, საძილე კორპუსების მხატვრული დაპირისპირება და მოხერხებული დაკავშირება გადასასვლელი ვესტიბულით და ღია ეზოთი; თვით შენობიდან ქალაქის შესანიშნავი ხედები იხსნება. საყურადღებოა ფირუზისფერი ქვის გამოყენება მოსაპირკეთებელ მასალად. შესანიშნავია შენობის შიგნით და გარეთაც ქვაზე კვეთის, მხატვრობის, ჭედურობის, ნოხების ნიმუშები. საერთოდ, ამ ბოლო წლებში არქიტექტურისა და ხელოვნების სხვა დარგების სინთეზი ანუ მათი ერთობლივი გამოყენება მეტი მხატვრული ზემოქმედებისათვის და იდეური ჩანაფიქრის გადმოცემისათვის, სულ მეტ და მეტ ადგილს იჭერს თანამედროვე არქიტექტურაში. ამ მხრივ ქართულ საბჭოთა არქიტექტურას, „ივერიის“ გარდა სხვაც ბევრი საყურადღებო მაგალითი გააჩნია: თბილისის მეტროპოლიტენის სადგურების არქიტექტურა, ქორწინების სახლის გარე ფასადი და შიდა დარბაზები, მუსკომედიის თეატრის ფოიე და, განსაკუთრებით, ბიჭვინთის დასასვენებელი კომპლექსის მხატვრული გაფორმება.

ქართული საბჭოთა არქიტექტურა ამჟამად აღმავლობის გზაზეა. ამას თვალნათლივ მოწმობს ბევრი საინტერესო ნაგებობა და ნაგებობათა კომპლექსი, რომელთაგან ზოგი უკვე შენდება, ზოგიც ახლო მომავალში აშენდება.





საცობში წვრილი მავთული გაატარე, თავსა და ბოლოში ღილები დაუტანე. საცობი აღარც ჭურჭელში ჩავარდება და



ცობის ამოძრობისას ჭაბანწყვეტაც აღარ დაგჭირდება.

ოთახში მძიმე ავეჯის გადაადგილების დროს, მარტო ფიზიკური ძალის იმედით ნუ იქნები. გაიხსენე ანდაზა: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“. ადექი და





### მტრედს არ ჩამოუვარდება

ყინულოვანი ანტარქტიდის სამეცნიერო სადგურებში მომუშავენი დარწმუნდნენ, რომ პინგვინს მშვენივრად შეუძლია ფოსტალიონი მტრედის „როლში გამოსვლა“. პინგვინი ყოველთვის უბრუნდება იმ ადგილს, სადაც იგი დაიჭირეს. ამ დროს ასეულობით კილომეტრსაც კი გადის.

სადგურების თანამშრომლები პინგვინებს წინასწარ უცვლიან ერთმანეთს და მათი საშუალებით ერთურთს წერილებსა და სადღესასწაულო მილოცვებს უგზავნიან. ამისთვის საკმარისია პინგვინს ყელზე პაკეტი ჩამოჰკიდო და თავისუფლად გაუშვა.

### გამოსავალი იპოვნეს...

ინდოეთში ძროხა წმინდა ცხოველად ითვლება. თუ იგი ტრამვაის ხაზზე ისვენებს, ვაგონები საათობით უძრავად დგას ხოლმე.

მაგრამ როგორ უნდა დაჯდეს თვითმფრინავი, თუ აეროდრომის ტერიტორიაზე ძრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ავეჯს ფეხქვეშ პარაფინიანი ქაღალდი ამოუდე (მაგალითად, რძის პარკი), აღარც ძალ-ღონე დაგჭირდება იმდენი და პარკეტის იატაკიც აღარ გაიკაწრება.

მარტოოდენ მკლავის ძალით, ხშირად ჭირს ბოთლის ყელიდან „გაჯიუტებული“ საცობის ამოძრობა. ამ საქმეში დაგეხმარება ხის უბრალო გაზი (ბაწრით ბოლოებგადაბმული ორი ჯოხი). ეს ხელსაწყო გააათკეცებს მენს ძალას და ძნელად თუ დაგიმაგრდება „გაკერპებული“ საცობი.



ნახმარი სამქღავნებელი ბოთლში ჩაასხი, შიგ მინის ნამსხვრევები ჩაყარე, იმდენი, რომ ჭურჭელი სითხით პირთამდე აავსოს. სითხე ჰაერს გამოდევნის და სამქღავნებელი აღარ გაფუჭდება.

ელექტრონათურას ერთი უხეირო თვისება აქვს — კარგა ხნის ხმარების შემდეგ, ელექტრომასრას შეედუღება ხოლმე. მერე, მიდი და ატრიალე რამდენიც გინდა, მოძრობით ვერ მოაძრობ, თანაც, შეიძლება ნათურა ხელში ჩაგეფშვნას. ამიტომ, ჭკუა იხმარე და, სანამ ნათურას მასრაში ჩახრახნი, ხრახნს რბილი ფანქრის წვერი გაუსვ-გამოუსვი. მერე ნუღარ შიშობ — ნათურა სამუდამოდ დაივიწყებს თავის სიკერპეს.



ხები დასეირნობენ? მათ ხომ ვერც შეუძახებ. — ინდოელებს ეს ცოდვად მიაჩნიათ.

გამოსავალი მაინც იპოვნეს. ერთხელ სამგზავრო თვითმფრინავი იძულებული გახდა, აეროდრომის თავზე ორი საათი ეფრინა, თან ბენზინიც უთავდებოდა. მაშინ ერთმა ტექნიკოსმა მაგნიტოფონი ჩართო, რომელზეც ვეფხვის ღრიალი იყო ჩაწერილი. რასაკვირველია, ძროხებმა აეროდრომიდან იმწამსვე მოქუსლეს.

„მფრინავი თეფში“

ამერიკელმა პროფესორმა პაულ გილერმა შექმნა ერთადგილიანი „მფრინავი თეფში“. მის პროპელერს ატრიალებს შუაგულში, პილოტის დასაჯდომის ქვეშ მოთავსებული 72-



ცხენისძალიანი მოტორი. ეს მფრინავი აპარატი შეგიძლიათ ვერტიკალურადაც აფრინოთ და, საითაც გნებავთ, იქითკენ წაიყვანოთ.

КАРГ ბУНЕБАЗЕ

კარგ გუნებაზე მომყვანი ვიტამინი

ფრანგმა დიეტოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ აფრიკელი პიგმეიების (ჯუჯა ადამიანების) დამახასიათებელი ოპტიმიზმი და შესანიშნავი გუნება ვიტამინ „ტე“-ს წყალობაა. ეს ვიტამინი დიდი რაოდენობით მოიპოვება პიგმეიების ყოველდღიურ საჭმელში — ჭიანჭველებში, ხოჭოებში და კუტკალიებში.

მუსიკა და მორიელის შხამი

მექსიკელი ექიმების დასკვნით, მორიელის ნაკბენის სამკურნალოდ ყველაზე კარგი საშუალება მუსიკაა. მკურნალობის ეს მეთოდი ინდიელებმა ჯერ კიდევ ათასხუთასი წლის წინათ აღმოაჩინეს.

ხალხური საკრავების პატარა ორკესტრი ფიცხ მუსიკას ასრულებს, მორიელის მიერ დაკბენილი კაცი კი ცეკვავს. ცეკვა რამდენიმე საათი გრძელდება, რის შემდეგაც ქანცგამოლეული მოცეკვავე ძირს ეცემა და იძინებს. გამოღვიძების შემდეგ იგი უკვე განკურნებულია.

საქმე ის არის, რომ რიტმული ცეკვის დროს ნერვული დაძაბულობა შხამის მომწამვლელობას დიდად ამცირებს.

მონეტები დელფინის გამოსახულებით

ანტიკურ სახელმწიფოთა მონეტების მიხედვით, მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანმა დელფინი ძალიან დიდი ხნის წინათ დაიმეგობრა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნის ბერძნულ, ხოლო ცოტა გვიან რომაულ მონეტებზე გამოსახულია დელფინზე ამხედრებული ჭაბუკი.

მცირე აზიაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ათასი წლის წინათ მცხოვრები ხალხის — ხეთების ერთ-ერთი ლეგენდის თარგმნისას სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ხეთი მეთევზეები ყვინთვაში ეჯიბრებოდნენ ხოლმე ახალგაზრდა, მოშინაურებულ დელფინებს.

ყველაზე დიდი, ყველაზე პატარა

მსოფლიოში ყველაზე პატარა წიგნი ამსტერდამის წიგნის გამოფენაზე იყო გამოტანილი. მისი ზომა ჩვეულებრივ საფოსტო მარკაზე ათჯერ მცირეა.

ყველაზე დიდი წიგნი — გეოგრაფიული ატლასი, რომელიც XVII საუკუნეშია გამოცემული და ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში ინახება, ერთი მეტრი სიგანისა და ორი მეტრი სიმაღლისაა.

ყველაზე მძიმე წიგნი გახლავთ ე. წ. „ეშმაკის სახარება“. იგი 4 სანტიმეტრი სისქის მუხის ფიცრის ყდაშია ჩასმული, პერგამენტს კი თურმე ასი სახედრის ტყავი მოუნდა, ეს წიგნი 350 კილოგრამს იწონის.



# შინდის ჯოხები



**ი. იაკოვლევი**

მოთხრობა

მხატვარი დ. ხარაფიშვილი

იმ ზაფხულს სიცხემ ყველა საზღვარს გადააბიჯა. დღის სიცხეს საღამოს სიცხე სცვლიდა, საღამოსას — ღამისა. დილაადრიანად თუ დაუბერავდა ზღვიდან გრილი ნიავი. მაგრამ ეს სიგრილე სიცხეს ვერას აკლებდა. მარტო მზე კი არ აცხუნებდა, ქვებიდან, სილიდან, მწვანე ფოთლებიდანაც ილვენთებოდა სიმხურვალე.

ისეთი პაპანაქება იდგა, ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ დედამიწაზე სადმე შეიძლებოდა ყოფილიყო თოვლი, ყინული, სიცივე.

ზღვისპირა დაბაში სიცოცხლე ჩამკვდარიყო. მოთენთილი ადამიანები ზანტად მოძრაობდნენ, ცეცხლივით გაურბოდნენ მზეს.

მხოლოდ ერთი ბერიკაცი არ ერიდებოდა გაგანია სიცხეს. ზღვის ნაპირზე ქვის ჯებირი შეეგულებინა, დღე — მუდამ იქ იჯდა, თითქოს პაპანაქებას ეჯიბრებაო და შინდის ჯოხებს ჰყიდდა. კაფანდარა მოხუცი იყო, გამომწვარი თიხის ფერი სახე ნაგვალავ მიწასავით ჰქონდა დაშაშრული.

მოხუცს წინ ჯერაც ლორწოშეუმშრალი შინდის სამი ჯოხი ელაგა. ჯოხებს ეტყობოდა კანი ახლადგაცლილი ჰქონდა და გახმობა ვერ მოესწრო. დიდებული რამ არის შინდის ჯოხი. გლუვი, მსუბუქი, მაგარი. პირდაპირ მისწრებაა მთაში მოგზაურობისას — ჟამთა ვითარებაში პეწი ეცვლება, სპილოს ძვლის ფერი ედება და მის ხელში დაჭერას არაფერი სჯობს.

სამწუხაროდ, ბევრმა როდი იცის შინდის ჯოხის ფასი. ამიტომ მოხუცის საქონელზე ცოტა მოთხოვნილება იყო — ათასში ერთი ვინმე თუ დაინტერესდებოდა. იჯდა ბერიკაცი გავარვარებულ სანაპიროზე და მყიდველს ელოდა. ადამიანები კი თავიანთი საქმეებით იყვნენ გართულნი და, ჯოხებისათვის არავის სცხელოდა!

ერთ დღეს მოხუცთან პატარა ბიჭი შეჩერდა. ძალიან გამხდარი იყო, წვრილმკლავება და კისერწაგრძელებული. ფარფლიანი ჭილის ქუდი ყურებზე ჩამოფხატოდა. ბიჭი რომ ჩამოსული იყო და ზღვისპირა დაბის ახალი სტუმარი, კარგად ეტყობოდა მზის დაუკრავ, ჯერაც ვარდისფერ კანზე. ბიჭი ჯოხებს ათვალიერებდა. ფული ხელში ჰქონდა მომუჭული, მაგრამ ჯოხის ყიდვა გუნებაში სულაც არა ჰქონდა — აბა, რომელი ბიჭი იქნება ჯოხში გადაყაროს ფული, როცა მისი ტყეში მოჭრა ან სხვა გზით შოვნა შეიძლება?! არა და, საუცხოო შინდის ჯოხები კი იყო.

— რა ღირს? — იკითხა ბიჭმა.

— ათი შაური. — მოხუცმა ისე უხალისოდ ახედა, რომ ჭილისქუდიანმა გაიფიქრა, ეტყობა, ჯოხების გაყიდვა არ აინტერესებსო. ადგა და ნაყინის საყიდლად გაეშურა.

ბიჭი ზღვისპირა დაბაში მამის ნაცნობებთან იყო სტუმრად. ისინი რომ ნაცნობები იყვნენ, ბიჭი ამაში მეორე დღესვე დარწმუნდა. მამის ნაცნობი მსხვილი, საოცრად მოძრავი კაცი იყო. სწრაფად დადიოდა, ფაციფუცით ლაპარაკობდა და ჭამდა... სტუმარს ხმაურითა და ზარ-ზეიმით შეხვდა — თითქოს სულზე იყო, როდის მესტუმრებაო პატარა ბიჭი. მაგრამ მეორე დღესვე დაივიწყა ბავშვის არსებობა და აღარავითარ ყურადღებას არ აქცევდა. დიასახლისი, მამის ნაცნობის ცოლი, სულ თავისი საქმით იყო გართული.

— აქ დაიძინებ. ორ საათზე ვსადილობთ, შვიდზე ვვახშმობთ, დილით ადრე ვსაუზმობთ, — უთხრა მან პატარა ბიჭს და ხელსაქმეს მიუბრუნდა.

თეთრჭილისქუდიანს არც აღარავინ უკრძალავდა რაიმეს და ნებასაც არავინ რთავდა. იყო ბიჭი თავის ჭკუაზე მიშვებული, არავინ დაჰყვიროდა თავს: — გეყო! ადექი! ჩაიცვი! ამოდი! და ისიც მთელი დღე წყალში ჭლუმპალაობდა.

მერე მთაში წასვლა მოესურვა. ეგონა, მთები ერთი ხელის გაწვდენაზე არიანო, მაგრამ ბარე ორი საათი იარა, ვიდრე მთის კალთას მიაღწევდა. ზღვის ნაპირიდან ბალახივით რომ მოჩანდა, თურმე ხეები არ ყოფილა! ირგვლივ მთის ტყე იყო, ხშირი, გაუვალი, ეკალ-ჯაგით მოდებული.

უცებ, მისი ყურადღება ხმაურმა მიიპყრო. ბიჭმა ტოტები გადასწია და შინდის ჯოხების გამყიდველი მოხუცი დაინახა. მოხუცი კლდის ქიმზე შემდგარიყო და წალდით შინდის ბუჩქს მისდგომოდა. შეჩერდებოდა, სულს მოითქვამდა, მერე ისევ შეუდგებოდა საქმეს. შიგადაშიგ ოხრავდა და კვნესოდა: — ოჰ... უჰ...

„როგორ უჭირს! ნუთუ ასე კერკეტია შინდის ამონაყარი? ან, იქნებ, მოხუცია სუსტი?“ ბიჭი მის ზურგს ხედავდა, მოხრილ, დაძაბულ ზურგს და ოფლით გალუმპულ ბლუზას.

— ოჰ... უჰ... — ისმოდა მოხუცის ოხვრა-კვნესა.

ბერიკაცი ისეთ ჭაპანწყვეტაში იყო, თეთრჭილისქუდიანმა გაიფიქრა, საცაა გული გაუსკდება და სულს დალევსო. დაღარულ კისერზე ოფლის წვეთები ასხდა და ნამნაპკურებ თიხასავით უპრიალებდა კანი.

მოხუცი დიდხანს ჯახირობდა, ბოლოს, როგორც იქნა, მოჭრა მოსაჭრელი. დაოსებული დაეშვა ქვაზე და თვალები მილულა.

საღამოხანს, როცა თეთრჭილისქუდიანი ზღვისპირას გამოჩნდა, მოხუცი თავის ალაგას იჯდა. წინ ორი ახალი, გაპრიალებული შინდის ჯოხი ედო. იჯდა და მუშტარს ელოდა. ხალხი კი მიდი-მოდიოდა და არავინ აქცევდა ყურადღებას არც მოხუცსა და არც მის ჯოხებს.

ბიჭი გვერდზე გადგა. ელოდა, როდის იყიდდა ვინმე ჯოხს. მან თითქოს გაიზიარა მოხუცის ხვედრი და მისი გასაჭირის თანაზიარი გახდა.

ჯოხს არავინ ყიდულობდა. მაშინ ბიჭმა ჯიბიდან ნაყინისათვის გადადებული ფული ამოიღო, ბერიკაცთან მივიდა და ახალი ჯოხი იყიდა. ბიჭს ეგონა, მოხუცი მიეფერებოდა მყიდველს, მაგრამ მის უძრავ სახეზე სიხარულის ნატამალიც კი ვერ ამოიკითხა.

იმ დღიდან იგი ყოველდღე მიდიოდა მოხუცთან და ნაყინისათვის გადადებული ფულით ჯოხს ყიდულობდა.

ოთახის კუთხეში ჯოხების მთელი კონა დაუგროვდა. მას კი სულ ახალი და ახალი მოჭქონდა.

ბერიკაცი თითქოს მაინც ვერ ამჩნევდა ყურებამდე ჩამოფხატულ თეთრ ქუდს, თითქოს ვერ სცნობდა მას.

ზაფხულის უკანასკნელი თვე დასასრულს უახლოვდებოდა. სიცხე დაცხრა. მალე ღამდებოდა, ცა ვარსკვლავებით იჭედებოდა. ბიჭის წასვლის დრო ახლოვდებოდა. „მე რომ წავალ, მერე ვინღა გაასაღებს ჯოხებს?" — არ ასვენებდა ბიჭს აბეზარი ფიქრი.

გამგზავრების წინ ბიჭი კიდევ ერთხელ წავიდა ჯოხების საყიდლად. მოხუცი იქვე იჯდა, ქვებზე დაეწყო თავისი საქონელი, თვლემდა თუ ღრმა ფიქრში იყო წასული. როცა მის წინ თეთრმა ჭილის ქუდმა გაიელვა, იგი არც კი შენძრეულა. ბიჭისთვის სულერთი იყო, რომელ ჯოხს აირჩევდა, მაგრამ მოხუცისათვის რომ ესიამოვნებინა, ხან ერთს ათვალიერებდა, ხან მეორეს, დიდხანს ატრიალებდა ხელში. ბოლოს ფული გადაიხადა და ის იყო წასვლას აპირებდა, რომ მოხუცმა თვალები მიაპყრო და თქვა:

— აქ მომიჯექ!

ბიჭი იქვე ჩაცუცქდა.

— მე უნდა ვიმუშაო, ბაბუ, თორემ შიმშილით მოვკვდები, — ჩაილაპარაკა მოხუცმა. ყრუ, ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა. შორიდან, ზღვის უსასრულო სივრციდან მოსულ ხმას ჰგავდა.

— მე მალე წავალ... — თქვა ბიჭმა.

მოხუცს არაფერი უპასუხნია, აწრიალდა, აფორიაქდა. მერე უბეში ხელი ჩაიყო და ჭინჭში შეხვეული რაღაც ამოიღო. ჭინჭი გაშალა და გამომწვარი თიხის ფერ ხელში ხანჯალმა გაიელვა. ხანჯალი ვერცხლით მოჭედილ ძველებურ შავ ქარქაშში იყო. ტარი ჩაშავებული ვერცხლით ჰქონდა მოტვიფრული.

— დაიჭი, — თქვა მოხუცმა და თეთრჭილისქუდიან ბიჭს ხანჯალი გაუწოდა. ბიჭს ეგონა, ალბათ ძალიან მდიდარი ვინმე ვგონივარ და ხანჯლის მოყიდვა უნდაო. „ამდენი ფული რომ არა მაქვს", — უნდოდა ეთქვა, მაგრამ მოხუცის სახეზე ამოიკითხა, რომ ეს საჩუქარი იყო, თუმცა ასეთი ძვირფასი საჩუქრის მიღება მაინც ვერ გაებედნა.

— გმადლობთ, — ჩაილაპარაკა ბიჭმა, მაგრამ ხანჯლისათვის ხელის ხლება ჯერ ვერ გადაეწყვიტნა, — რატომ წუხდებოდით...

— დაიჭი-მეთქი! — მკაცრი ხმით გაიმეორა მოხუცმა, — შენ მე მომეწონე, შენ ადამიანი ხარ!..

ესა თქვა და ხანჯალი თითქმის ძალით ჩაუდო ხელში. ხელში ჩაუდო იარაღი, რომელსაც მხოლოდ მეგობრებს თუ აჩუქებენ.

შემდეგ, მარტო რომ დარჩა, მოფარებულში, თეთრჭილისქუდიანი ბიჭი წამდაუწუმ იღებდა ქარქაშიდან და პირს უსინჯავდა ორლესულს... ხანჯალი მჭრელი და მძიმე იყო. აუწერელი სიხარული ეუფლებოდა მის გულს.

ერთხელ, როცა ბიჭმა, ვინ იცის მერამდენედ ამოიღო ქარქაშიდან ხანჯალი და ფხა მოუსინჯა, ზედ ვადასთან წარწერა შენიშნა. ასოები თითქმის წაშლილი იყო, მაგრამ ყმაწვილის გამჭრიახმა თვალებმა მაინც ამოიკითხა: „მეგობარს ერთგულებისათვის". ეს სიტყვები ამაყად და მჟღერად ჟღერდა...

თარგმნა ზ. ლეშკაშელმა.



# უფლისციხე

ქართული მატერიალური კულტურის უბრწყინვალესი ძეგლი, უძველესი ქართული ქალაქი უფლისციხე თბილისის დასავლეთით, 75 კმ დაშორებით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. იგი სამხრეთისაკენ (მტკვრის ნაპირისაკენ) დახრილი კლდის მთლიან მასივშია გამოკვეთილი. რკინიგზის ბაქან ქვახვრელიდან გორის მიმართულებით მატარებლის გასვლის შემდეგ, ვაგონის ფანჯრიდან იშლება საერთო ხედი უფლისციხის ე. წ. „შიდა ქალაქის“ ტერიტორიისა, რომელიც თავისი ცხოველხატულობით მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

მეტად საინტერესოა ქალაქ უფლისციხის ისტორია; ასევე რთული და წარმტაცია მისი განაშენიანებისა და კეთილმოწყობის თავისებურებაც. უყურებ ამ გრანდიოზულ ძეგლს და განცვიფრებს ჩვენი წინაპრების აზრის დიდებული გაქანება. მართალია, ქალაქის ეს ნაწილი კლდეშია გამოკვეთილი, მაგრამ პირველად ქმნილს უცვლელი სახით როდი მოუღწევია ჩვენამდე. აქ ხომ ცხოვრება, მეტ-ნაკლები ინტენსივობით და ინტერვალებით, თვით XVII საუკუნემდე არ შეწყვეტილა. ამდენად, ადამიანთა გამუდმებული ფუსფუსით შექმნილ, განვლილ ცხოვრებათა მრავალფენიან შრეებთან გვაქვს საქმე.

ქალაქის კლდეში ნაკვეთი ნაწილი ცენტრალური უბანია. იგი საგანგებოდ არის შემოზღუდული და გამაგრებული. ქალაქის ამ უბანს „შიდა ქალაქი“ ეწოდება, რომლის გარშემო განლაგებულია დანარჩენი უბნები, რაც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია მონათმფლობელური ხანის ქალაქებისათვის. უფლისციხის სამხრეთ-დასავლეთა მხარე დაცულია ბუნებრივი ფრიალო კლდით, რომლის სიმაღლე ზოგან რამდენიმე ათეულ მეტრს აღემატება, ხოლო აღმოსავლეთის კლდიდან ჩრდილოეთის მიმართულებით 10 მეტრი სიმაღლისა და 15 მეტრი სიგანის კლდეში გაჭრილი ხელოვნური თხრილი გასდევს, რომელსაც შიდა ქალაქის მაღალ კიდეზე მიუყვებოდა 3—4 მეტრი სიგანის კედელი. აქ ორსართულიანი, კრამიტით გადახურული კოშკები იყო ჩაშენებული. შიდა ქალაქის სამხრეთი კიდის ქვემოთ კლდეში შეჭრილია 3 მეტრი სიგანის ხვრელი, რომელიც შიდა ქალაქში საფეხურებით ადის. ეს არის ქალაქის თავისებური „საიდუმლო კარი“, რომელიც ჩვეულებრივ, თითქმის ყველა უძველეს ციხე-ქალაქს ჰქონდა. ეს სწორედ ის „საიდუმლო კარია“, რომლითაც 926—27 წელს უფლისწულ კონსტანტინეს მამის წინააღმდეგ შეთქმულების დროს ალყაშემორტყმული უფლისციხიდან გაპარვა უცდია. მაგრამ ეს „საიდუმლო კარი“, ცხადია, ქალაქის მშენებლობის გაცილებით ადრეულ პერიოდს ეკუთვნის, ამასთან იგი ერთადერთი შესასვლელი როდია. უფლისციხეს შიდა ქალაქში ძირითადი შესასვლელი ე. წ. „მცირე კლდეკარიდან“ აქვს, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით არის კლდის მასივში გაჭრილი და უშუალოდ შიდა ქალაქის მაგისტრალურ ქუჩას უკავშირდება. (უნდა შევნიშნოთ, რომ უფლისციხეს აქვს აგრეთვე დიდი კლდეკარიც, რომელიც ჩრდილოეთით 700—800 მეტრის მოშორებით ჩამოუდის ქალაქს, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით). თავის მხრივ, ეს ქუჩა შიდა ქალაქის ცენტრში გადის და ორ ნაწილად ჰყოფს მას. ქუჩის მარცხნივ, დასავლეთით, ტერასულად განლაგებული, ქალაქის უმნიშვნელოვანესი, კლდეში გათხრილი კომპლექსებია, მარჯვნივ კი, დაბლობში, დანარჩენი გამოქვაბულები. იქ, სადაც „მცირე კლდეკარი“ შიდა ქალაქის ცენტრალურ ქუჩას უერთდება, დიდი მოედანია, რომელიც ჩრდილოეთით შუასაუკუნეებში კლდეზე ნაგები კედლით არის შემოზღუდული. აქ დღემდე შემორჩენილია კლდეში ნაკვეთი მცირე, ერთმანეთთან დაკბილული ღარებით შეერთებული თაროები. როგორც ირკვევა, კლდის ფლატეზე ამოკვეთილ ასეთ თაროებზე აგებდნენ საფორტიფიკაციო ნაგებობათა კედლებს, რომლებიც საიმედო საყრდენი იყო ამ კედლებისათვის.

მოედნიდან ცენტრალური გზა შიდა ქალაქის ძირითადი უბნისაკენ მიემართება, რომლის ორივე მხარეზე გაშლილია „ნაგებობათა“ კომპლექსები, მათ შორის მრავალი იქცევს ყურადღებას თავისი მხატვრული გაფორმებით და კლდეში გამოკვეთის მაღალი ოსტატობით. უფლისციხის დათვალიერებისას მნახველს მაშინვე თვალში მოხვდება კლდეში გამოკვეთილი დარბაზების გაფორმების რამდენიმე ტიპი, რომელთაგან ერთი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, როგორც თავისი გრანდიოზულობით, ისე მხატვრული დეკორის სიფაქიზით და სიმდიდრით. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ თვისებათა გამო ხალხმა მას „თამარის დარბაზი“ უწოდა, რადგან მასში უფლისციხის ნაგებობათა შორის გამორჩეული ბრწყინვალება და დიდებულება შეიგრძნო. ეს დარბაზი გეგმაში თითქმის კვადრატს ქმნის, რომელიც სიგანეში შუაზეა გაყოფილი ორი სვეტის საშუალებით, რომელთაგან მხოლოდ უმნიშვნელო კვალიღაა შემორჩენილი. დარბაზის ჭერში გამოკვეთილია ცილინდრული ფორმის სპეციალური სარკმელი, რომელიც ზემოდან განათების ერთადერთი წყაროა. კედლები ისეთი გულმოდგინებით არის გათლილი და დამუშავებული, რომ ერთი შეხედვით ნალესობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამგვარად დამუშავებული კედლები ანტიკურ პერიოდში გამოკვეთილი დარბაზებისათვის არის დამახასიათებელი, მაშინ, როცა მოგვიანო ხანაში გამოკვეთილ კომპლექსებში დღესაც კარგად ჩანს კედლებზე კლდის სათხარი იარაღის კვალი, რომლითაც ეს სამუშაოები უწარმოებიათ.

ჩვენამდე აღარ მოღწეულა ამ დარბაზის კარიბჭე, რომელიც მას აღმოსავლეთის მხრიდან უნდა ჰქონოდა მიდგმული, ხოლო დარბაზსა და კარიბჭეს შორის ძველად არსებული კედელი შემდგომ მოუშლიათ. დარბაზის ჩრდილო სათავსი, იმგვარად, როგორც ჩვენამდეა მოღწეული, გვიჩვენებს, რომ აქ სასახლის მარანი ყოფილა, რაზეც 11 ცალი დიდი ქვევრის ჩასადგმელი ფოსოები მიგვითითებს. სასახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეზე ადრეულ ხანებშივე დანგრეული დარბაზია. როგორც გათხრებმა ცხადყო, ეს დარბაზი ორი განყოფილებისაგან შედგებოდა, რომელთაგან ძირითადი — აღმოსავლეთის სათავსი ყოფილა. ამ სათავსის დასავლეთ კედელში მცირე ზომის თახჩები ყოფილა მოწყობილი, რის გამოც მას „თახჩებიანი დარბაზი“ დაერქვა. ასეთი თახჩები დაცულია ვარძიის გამოქვაბულებშიც და, როგორც ვარაუდობენ, აფთიაქისმაგვარი ნაგებობა უნდა ყოფილიყო. შესაძლებელია, უფლისციხის „თახჩებიანი დარბაზიც“ ამგვარი დანიშნულებისა იყო, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ მასში კარის ბიბლიოთეკა და ოფიციალური საბუთების საცავი ვივარაუდოთ. იქვე ახლოს კლდეში ნაკვეთი ორი საწნახელია დაცული, ეს საწნახლები ძვ. წელთაღრიცხვის IV—III საუკუნეებს ეკუთვნის, ე. ი. იმ პერიოდს, როდესაც უფლისციხე ეკონომიურ-პოლიტიკური თვალსაზრისით აღმავლობას განიცდის და საქალაქო ცენტრად ყალიბდება. როგორც ჩანს, სახელიც „უფლისციხე“ ამ პერიოდში უნდა გაჩენილიყო, რითაც აისახა ის ვითარება, რომ ქალაქში „უფალი“ ანუ გამგებელი იჯდა.

უფლისციხის შიდა ქალაქის შესწავლაში მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანა გამოკვლევამ ე. წ. „მიუვალი გამოქვაბულისა“, რომელიც ქალაქის დასავლეთით ფრიალო კლდეზე შეინიშნება. გამოქვაბულში, იატაკის დაშრევებულ მიწის ფენაში, ოთხი სხვადასხვა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი აღმოჩნდა. ამათგან სამი — სქელკედლიან, მსხვილი სტრუქტურის თიხისაგან დამზადებულ ლეგა-მოწაბლისფერო და გაპრიალებულ ჭურჭლებს ეკუთვნის, მეოთხე კი ღია მოწითალო ფერის თხელკედლიანი ჭურჭლის ფრაგმენტია, ეს კერამიკული მასალა წინაელინისტური ხანისაა და ძვ. წ. V—IV საუკუნეებით თარიღდება. აღსანიშნავია, რომ მიუვალი გამოქვაბული მხატვრული გაფორმებით „თამარის დარბაზის“ მსგავსია. იგი, კონსტრუქციული აღნაგობით, ასევე დიდად უახლოვდება შიდა ქალაქის ბევრ სხვა გამოქვაბულ კომპლექსს. მათ შორის აღსანიშნავია ე. წ. „სათიატრო“ კომპლექსი, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებით

# იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?



რომელი ციხე-სიმაგრეა ამ ფოტოსურათზე გამოსახული, სად მდებარეობს იგი, რა ისტორიულ მოვლენებთან არის იგი დაკავშირებული.

არის დათარიღებული, მაგრამ მიუვალ გამოქვაბულთან შედარებათ ირკვევა. რომ იგი გაცილებით ადრეა გამოკვეთილი.

ახალმოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალებმა მეცნიერებას უფლისციხის შიდა ქალაქის კლდეში გამოკვეთილი კომპლექსების გარკვეული ნაწილის დათარიღების საშუალება მისცა; კერძოდ, გამოქვაბული დარბაზები, რომელთა ჭერი ხის კონსტრუქციების მქონე ჭერის გამეორებაა, მონათმფლობელურ ხანას ეკუთვნის, რომელთაგან კოჭურგადახურვიანი და ბრტყელჭერიანი კომპლექსები ადრეანტიკური ხანით (ძვ. წ. V—IV საუკუნეებით) უნდა დათარიღდეს. უფლისციხისა და სხვა ძეგლების შესასწავლად წარმოებული კვლევა-ძიების საშუალებით შესაძლებელი გახდა მეტ ნაკლებად გაშუქებულიყო ადრეკლასობრივი პერიოდის ქართული ქალაქების ისტორიისა და კულტურის ისეთი საკითხები, როგორიც არის: ქალაქების წარმოქმნა და მათი განვითარება, ხელოსნური წარმოების განვითარების საფეხურები და მისი დარგები, ვაჭრობა და ეკონომიური ურთიერთობანი, გზები და ტრანსპორტი, ისტორიული გეოგრაფია და ტოპოგრაფია, სასოფლო-სამეურნეო უბნები და მათი ადგილი ქალაქების ეკონომიკაში, ქალაქური თემები და მათი სოციალური არსი, სასოფლო-სამეურნეო თემების თავისებურებანი და მათი სოციალური ბუნება, მონური შრომის გამოყენების მასშტაბები და მათი როლი ქალაქების ცხოვრებაში, შრომის ორგანიზაცია და სამშენებლო ხელოვნება, ექსპლოატაციის ფორმები და მათი განვითარება, ქალაქების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, რელიგია და სხვ.

უფლისციხის შიდა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული დარბაზები, ცხადია, ამ წერილში ჩამოთვლით არ ამოიწურება. მათი რიცხვი გაცილებით მეტია, აქ რამდენიმე ათეული დარბაზია ერთიმეორისაგან განსხვავებული, როგორც იერსახეობით, ისე გამოკვეთის დროის მიხედვითაც. სხვადასხვა დროის გადაკეთების კვალი მრავალ გამოქვაბულ კომპლექსს დასტყობია კიდეც. ასე უცვლია იერი ძველად არსებულ წარმართულ ტაძარს, რომელიც VI—VII საუკუნეებში სამნავიან, ქრისტიანულ ბაზილიკად გადაუკეთებიათ, ხოლო მისი დანგრევის შემდეგ (არაბთა შემოსევების დროს) აღდგენაზე აღარ უფიქრიათ და IX—X საუკუნეებში ახალი სამეკლესიანი ტაძარი აუგიათ, რომელსაც ჩვენამდე კიდევ უფრო მოგვიანო ხანებში აღდგენილის სახით მოუღწევია. რაც შეეხება ზოგიერთ გამოქვაბულს, ისინი ჟამთა სიავისა და გამუდმებული რბევა-თარეშისაგან საბოლოოდ განადგურებულია.

მიუხედავად იმისა, რომ უფლისციხის არქეოლოგიური შესწავლა დამთავრებული არ არის, უკვე შეიძლება თვალი გავადევნოთ უფლისციხის ტერიტორიაზე 3000 წლის წინათ დაწყებულ ცხოვრებას, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 2300 წლისათვის მძლავრი საქალაქო ცენტრის წარმოქმნით დამთავრებულა და, როგორც აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი ფიქრობს, წინაელინისტურ ხანაში შიდა ქართლის („ზენა სოფლის") პოლიტიკური ჰეგემონობაც კი დაუსაკუთრებია.

ირაკლი ჯანდიერი.

1969 წლის № 9-ში დასმულ კითხვებზე პასუხები გამოგზავნეს: ლანჩხუთის რაიონის სოფ. ლესის საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლემ რუსუდან ურუშაძემ; დმანისის რაიონის სოფელ განთიადის საშ. სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა: გულნარა და ნათელა დევნოზაშვილმა; საჩხერის რაიონის სოფელ ჭალის საშ. სკოლის VIII კლასის მოსწავლემ თამარ სადღობელაშვილმა; ახალქალაქის რაიონის, სოფ. კოთელიას საშ. სკოლის მოსწავლემ ს. ზურაბაშვილმა; მახარაძის რაიონის სოფ. მაკვანეთის საშ. სკოლის მოსწავლემ ნანი ოქროპირიძემ; თერჯოლის რაიონის სოფელ ბარდუბნის საშ. სკოლის VI კლასის მოსწავლემ გელა ქათამაძემ; გორის რაიონის, შავშების საშ. სკოლის მოსწავლემ გ. ჯებისაშვილმა.




# პაექრობა გადასახლებაში

1898 წელს მეფის სატრაპებმა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ციმბირში, კრასნოიარსკის მხარის სოფელ შუშენსკოეში გადაასახლეს. იგი იქ ბევრს კითხულობდა, მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა, მაგრამ დრო ისე ჰქონდა განაწილებული, რომ ყველაფერს ასწრებდა: კიდეც სეირნობდა, კიდეც ნადირობდა, ციგურაობდა და ჭადრაკსაც თამაშობდა.

მახლობელ სოფელში, კურაგინოში, რევოლუციონერი პ. ლეპეშინსკი იხდიდა სასჯელს. მას მეგობრებში კარგი მოჭადრაკის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

— ვნახოთ რა მოთამაშეც ბრძანდები, როცა ვლადიმერ ილიას ძეს შეხვდები! — ექადნებოდნენ ლეპეშინსკის მისი თანამებრძოლნი — ს. სტარკოვი და გ. კრჟიჟანოვსკი, რომლებიც მას ბევრჯერ დაუმარცხებია.

ერთხელ მინუსინსკში ლენინი და ლეპეშინსკი ერთმანეთს შეხვდნენ. მალე სტარკოვმა და კრჟიჟანოვსკიმ ახალგაცნობილნი სათამაშოდ დასვეს.

პირველ პარტიაში ლეპეშინსკი გაუძალიანდა ვლადიმერ ილიას ძეს, მაგრამ მაინც წააგო. ეს ალბათ შემთხვევით მოხდა, — გაიფიქრა მან. მაგრამ მომდევნო პარტიებიც რომ წააგო, მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე.

— ლენინი მერეც ხშირად მიგებდა, როცა თანაბარი ძალებით ვთამაშობდით, — იხსენებს ლეპეშინსკი. — როცა წინდაწინ კუს ან მხედარს მაძლევდა, ზოგჯერ მეც ვაშამათებდი მის მეფეს. მაგრამ, როცა გადასახლებიდან დაბრუნებისას თეორიას ჩავხედე და დებიუტებში გავიწაფე, თანაბარი ძალებითაც ყოველთვის ვეღარ მიგებდა.

ლენინის თანამებრძოლი, მეგობარი და მეუღლე ნადეჟდა კრუპსკაია მინუსინსკში გატარებული დღეების შესახებ სწერდა ვლადიმერ ილიას ძის დედას: „ვალოდია დილიდან დაღამებამდე თამაშობდა ჭადრაკს და... რასაკვირველია, ყველას მოუგო".

ლენინმა და ლეპეშინსკიმ საჭადრაკო მეგობრობა მიწერ-მოწერით თამაშში გააგრძელეს. ამ პაექრობამ ორივე ძალიან გაიტაცა. ნადეჟდა კრუპსკაია მოგონებებში წერს: „ლენინი ძილში წამოიძახებდა ხოლმე: „თუ ის მხედრით — აქ, მაშინ მე ეტლით — იქ". დედას წერილიც კი გაუგზავნა, ჭადრაკი გამომიგზავნეო. ამანათმა რომ დაიგვიანა, ფიგურები თვითონ გამოთალა ხის ქერქისაგან.

ლეპეშინსკი უზომოდ გახარებული იყო ხოლმე, როცა ლენინის წერილს მიიღებდა. მორიგ სვლასთან ერთად ვლადიმერ ილიას ძე უზიარებდა მას თავის ლიტერატურულ გეგმებს, მიმოიხილავდა პოლიტიკურ ვითარებას, შემდგომი რევოლუციური ბრძოლის ამოცანებს აცნობდა.

მიწერ-მოწერითი პარტია დიდხანს გაგრძელდა. მის დასამთავრებლად ლეპეშინსკი სოფელ შუშენსკოეში ჩავიდა. მას უპირატესობა ჰქონდა და გაიმარჯვა კიდეც.



ამ სტუმრობისას ლეპეშინსკიმ ვლადიმერ ილიას ძეს თავისი საჭადრაკო ამოცანა აჩვენა.

— მაშასადამე, თეთრები სამ სვლაში აცხადებენ შამათს. კეთილი, — თქვა ვლადიმერ ილიას ძემ და ჩაფიქრდა. ლეპეშინსკიმ დრო დაინიშნა. ხუთი წუთიც არ იყო გასული, რომ მასპინძელმა ღიმილით აჩვენა ამოხსნა.

ერთხელ, როცა მეგობრებმა ერთად მოიყარეს თავი, ლეპეშინსკიმ, სტრაკოვმა და კრჟიჟანოვსკიმ სთხოვეს ვლადიმერ ილიას ძეს, ერთდროულად სამივეს ერთი პარტია გვეთამაშეო. ვლადიმერ ილიას ძე დათანხმდა „შეთქმულებს".

თავიდან ბრძოლა „მოკავშირეთა" სასარგებლოდ წარიმართა. ისინი ზეიმობდნენ, როცა ლენინი კარგა ხნით ჩაფიქრდა.

„მის სოკრატისებურ დიდ შუბლზე ოფლის წინწკლები გამოჩნდა. თვალები უძრავად მიაჩერდნენ იმ კუთხეს, სადაც ბრძოლის მთავარი სტრატეგიული წერტილი იყო... არცერთი ნაკვთი არ შერხეულა თითქოს ძვლისაგან გამოთლილ სახეზე, რომლის ფართო საფეთქელთან მოცისფრო ძარღვები დაიჭიმა", — წერს მოგონებებში ლეპეშინსკი.

ნაადრევად გახარებულმა „მოკავშირეებმა" ჯეროვნად ვერ შეაფასეს მეტოქის ორი სვლა და განსაცდელში აღმოჩნდნენ. ვლადიმერ ილიას ძე ოფლს იწმენდდა და იღიმებოდა. „მოკავშირენი" შეცდომებს ერთმანეთს აბრალებდნენ. მაგრამ უკვე გვიან იყო: პარტიას აღარაფერი ეშველებოდა.

გადასახლების შემდეგ, ემიგრაციაში, ვლადიმერ ილიას ძეს იშვიათად უხდებოდა ჭადრაკის თამაში. დაძაბული პოლიტიკური და ლიტერატურული მუშაობა ბევრ დროს მოითხოვდა. და მაინც უნახავთ მეგობრებს ლენინი ეგრეთ წოდებულ „ბოლშევიკების სასადილოში" მის პატრონთან — პ. ლეპეშინსკისთან მოპაექრე.

**თენგიზ გიორგაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უმადური

### არაკი

ერთ სოფელში სიკეთის დაუნახავი, უმადური კაცი ცხოვრობდა. ერთხელ იგი ადიდებულ მდინარეში ჩავარდა, იხრჩობოდა. მინდვრად მომუშავე გლეხებს განწირული კაცის კივილი შემოესმათ. გლეხებმა მიირბინეს მდინარის ნაპირთან. დაინახეს — ვეება მორევს ადამიანი მოეგდო და ციბრუტივით ატრიალებდა. იცნეს უმადური. მისგან ერთი კეთილი სიტყვაც კი არავის ახსოვდა, მაგრამ მაინც შეებრალათ. შველას კი ვერავინ ბედავდა — ადიდებულ მდინარესთან ჭიდილი არც ისე ადვილი საქმე იყო, სასიკვდილოდ არავის ემეტებოდა თავი.

უცებ გაისმა მოხუცი კაცის სიტყვები:

— ვუშველოთ რამე უბედურს, იქნებ მერე მაინც შეიგნოს რამე ცოდვა-მადლისა...

ამ სიტყვებზე ერთი ახალგაზრდა გამოეყო ხალხს, ტანთ გაიძრო სამოსელი და წყალში გადაეშვა, მდინარის გამძვინვარებულ ტალღებს შეერკინა. დიდი წვალებით გადაცურა მორევამდე, ჩაავლო ხელი გაჭირვებაში ჩავარდნილს და, როგორც იქნა, ნაპირზე გამოიყვანა გასავათებული... ჭაბუკს მთელი სოფელი უქებდა ვაჟკაცობასა და გამბედაობას. მალე უმადურიც მოასულიერეს. მან გაიგონა, როგორ ლოცავდნენ გლეხები მის გადამრჩენელ ახალგაზრდას. კაცმა თავისთან მოუხმო მხსნელს და უთხრა:

— ჩემი მადლობელი უნდა იყო, რომ ვიხრჩობოდი, თორემ ვაჟკაცობას ვერ გამოიჩენდი და ამ ხალხის ქებასაც ვერ ეღირსებოდიო.

**თენგიზ პატურაშვილი.**



**ჩინლონი** (ბირმული თამაშია) ფეხბურთელის წვრთნის შესანიშნავი საშუალებაა. ხუთი-ექვსი კაცი წრეში დგება და ბურთით კენწლაობს. ბურთის დიამეტრი 12-13 სმ-ია, წონით 250 გრამია. მოთამაშეს ბურთის აღება ფეხითაც შეუძლია, თავითაც, მხრითაც და ტანითაც. აათამაშებს ბურთს და მერე სხვას გადაუგდებს. იმან ბურთი ძირს არ უნდა დაუშვას და ა. შ. წაგებული ისაა, ვისაც ბურთი ძირს დაუვარდება.

**პელოტა-ალ-სესტო** (არგენტინული თამაშია) დღევანდელი კალათბურთის წინაპარია. თორმეტი კაცი თამაშობს. ექვს-ექვსი თითო გუნდში. მოთამაშეთა განლაგება ასეთია: ორი წინ, ორი შუაში, ორიც უკან. მოთამაშეთა ამოცანაა მოწინააღმდეგის კალათში ბურთის ჩაგდება.

ბურთის გადაცემა ისეთივეა, როგორც კალათბურთში, მაგრამ მოთამაშეს თავის ზონიდან გასვლის უფლება არა აქვს. ყველა თავ-თავის ზონაში თამაშობს.

**წრებურთი.** წრის შუაში მეთაური დგას. პატარა პარკგამობმული წნელი უჭირავს, პარკში სილა ყრია. მეთაური ადგილზე ბრუნავს და წნელს ატრიალებს ისე, რომ პარკი მიწაზე ჩოჩავდეს. წრეში ჩამდგარი ბავშვები წნელს ზედ ახტებიან, ვინც წნელს გაედება, წრიდან გადის და მეთაურის ადგილს იჭერს. თამაში გამარჯვებული ის იქნება, ვისაც არცერთხელ არ მოუწევს მეთაურად დადგომა და წნელის ტრიალი.

* * *

**ესტაფეტა რგოლებით.** ცარცით ან ნახშირით გაავლეთ 20—25 მეტრის სიგრძის ხაზი. გუნდის თითო წევრი ერთდროულად იწყებს რგოლების გორებას ხაზის ბოლომდე და უკან. ფინიშთან დაბრუნებულს, რგოლს გუნდის მეორე წევრი ჩამოართმევს და, ასე ბოლომდე. გამარჯვებული ის იქნება, ვინც ადრე დაამთავრებს ესტაფეტას.

## ტალღებზე მონავარდენი

ჩრდილო ამერიკის ინდიელები თავიანთ ნავს — კანოეს, არყის ქერქისაგან აკეთებენ. ქერქის ნაჭრებს, ერთმანეთს ნაძვის ხის წვრილი, გამოხარშული ფესვებით აკერებენ. კანოე ძალზე მსუბუქი და სწრაფია. კანოე (ოღონდ, ცხადია, არა არყის ხის ქერქისაგან გაკეთებული). დიდად პოპულარულია სპორტსმენთა შორის, ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ კანოეთი შეჯიბრი ოლიმპიური თამაშობების პროგრამაშია შეტანილი.

* * *

ჩრდილოეთის ხალხებს, ნავების დასამზადებლად, გარდა ტყავისა და ცხოველთა ძვლებისა, არა გააჩნდათ რა. ესკიმოსები და ალეუტები კაიაკებს სელაპის ან ირმის ტყავისაგან აკეთებდნენ. ნავს ჩონჩხად. ძარღვებით შეკრული ძვლები ჰქონდა. ზემოთ დარჩენილ მცირე არეში მენავე ჯდებოდა და წელზე ქამარივით ირტყამდა ნავის კორპუსის ტყავს. ასე, ნავი სავსებით წყალშეუღწევალი ხდებოდა, რაც ესოდენ აუცილებელი იყო ჩრდილოეთის ცივ წყლებში ცურვისას.

ევფრატსა და ტიგროსზე შეიძლება ახლაც ნახოთ გ უ ფ თ ა. იგი კიდევ უფრო უცნაური მასალისაგან გაკეთებული ნავია. ძეწნის წნელებით მოწნული ჩონჩხი ბუნებრივი ასფალტით არის შელესილი. ფორმით იგი სულ არა ჰგავს ნავს, გუფთა უფრო ჭურს მოგვაგონებს.



* * *

ძნელია წარმოიდგინოთ ვენეცია და მისი ქუჩა-არხები წყალში ლამაზად გადადრეკილი გ ო ნ დ ო ლ ე ბ ი ს გარეშე. ეს მსუბუქი, [illegible] იგი ალბათ [illegible] და ზღვის ტალღების შემოტევას. სამაგიეროდ, ქალაქის ვიწრო „ქუჩებში" საოცარი მანევრირების უნარი აქვს. გონდოლა თავისებური ტაქსია. იგი ძირითადად ადამიანთა გადაყვან-გადმოყვანას ემსახურება.





## საძიებელი


ს. შამფრიანი — სულ მშვიდობით გევლოს (ლექსი) . . . გვ. 1
ვ. ბონჩ-ბრუევიჩი — ლენინი კრემლში (მოთხრობა) . . . . 2
ლ. გვაზავა-სანაძე — ჩრდილოეთის ციალი (მოთხრობა) . 6
მ. ჯგუბურია — სიმღერა — (ლექსი) . . . . . . . . . 13
მ. ჩხეტიანი — მეც ფრთებს გავშლი (ლექსი) . . . . . . 13
ლ. ჯაფარაშვილი — წვიმა (ლექსი) . . . . . . . . . . 13
მ. არუთინიანი — როგორ აუხდა სიზმარი ქერათმიან ბიჭს (პოემა, თარგმნა თ. ჭანგულაშვილმა) . . . . 14
მ. ხერგიანი — ოცდამეოთხე ზაფხული (ნარკვევი) . . . . 15
რ. ინანიშვილი — თეთრი ყანჩა (მოთხრობა) . . . . 18
ბ. ბანოვი — ბიჭი და შადრევანი; ჩიტი (ლექსები, თარგმნა მ. მაჭავარიანმა) . . . . . . . . . 20
ს. კარასლავოვი — ბალადა თავდაბლობაზე (ლექსი, თარგმნა გ. ძნელაძემ) . . . . . . . . . . 20
ს. კინწურაშვილი — ქართული საბჭოთა არქიტექტურა (წერილი) . . . . . . 21
გამოგადგები . . . . . . . . . . 24
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . . . 24
ი. ჯანდიერი — უფლისციხე (წერილი) . . . . . 28
თ. გიორგაძე — პაექრობა გადასახლებაში (წერილი) . . 30
თამაშობები . . . . . . . . . . . . 31
თ. პატურაშვილი — უმადური (არაკი) . . . . . . . . . . 31
საინტერესო თემაზე . . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . გარეკანის . . . . . . 3


გარეკანის პირველ გვერდზე — „კოსმოსი" მხატვარი ი. ქლიბაძე.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).



ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01



საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/XI-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/XII-69 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. პირობითი 4. შეკვ. № 3416. ტირ. 101.700. უე 12205.

ფასი 20 კაპიკი



რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



## ანბანური ჩაინვორდი




ა — საყანედ გაჩეხილი ტყე, ანუ?..
ბ — კორეული ნაციონალური საჭმელი;
გ — წყლის ტრანსპორტი;
დ — ფრანგი ქიმიკოსი, რომლის რეცეპტით ძვლებისაგან ღარიბებისათვის იაფფასიანი ჟელატინის წვენი მზადდებოდა;
ე — მუსიკალურ ინსტრუმენტთა ოსტატი, თანამედროვე სისტემის პიანინოს გამომგონებელი;
ვ — გამოჩენილი იტალიელი კომპოზიტორი;
ზ — საქართველოს ველის დამახასიათებელი ცხოველი;
თ — სამართლიანობის ქალღმერთი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში;
ი — შეტევა, ანუ?..
კ — ადმინისტრაციული დაყოფის ყველაზე მცირე ერთეული იტალიაში;
ლ — ქართველი მამაკაცის სახელი;
მ — საფრანგეთის დიდი რევოლუციის ცნობილი მოღვაწე;
ნ — საკრავი;
ო — მარგალიტებით ცნობილი კუნძული სპარსეთის ყურეში;
პ — წამახალისებელი ჯილდო, ანუ?..
ჟ — ფერი;
რ — მსოფლიოს ჩემპიონი ჭიდაობაში;
ს — ჭაერის გენია საშუალო საუკუნეების კელტურ და გერმანულ მითოლოგიაში;
ტ — ესტონური საბავშვო ჟურნალი;
უ — მტკნარი წყლის რბილტანიანი ცხოველი;
ფ — ხელზე მოსამსახურე, ანუ?..
ქ — ერთგვარი მტრედი;
ღ — ხელფრთიანი ცხოველი, ანუ?..
ყ — შენობის გადასახურავი მასალა;
შ — ზღვის გრიგალი;
ჩ — საქართველოს ტყის ზონაში გავრცელებული ფრინველი;
ც — ლებნიანი მცენარე;
ძ — შინაური ცხოველი;
წ — ადმინისტრაციული ცენტრი საქართველოში;
ჭ — სვილი, ანუ?..
ხ — მდინარე დასავლეთ საქართველოში;
ჯ — საქართველოს ტყის ზონაში მობინადრე ცხოველი;
ჰ — შორისდებული.

შეადგინა თელავის რაიონის სოფ. კონდოლის საშუალო სკოლის VII კლ. მოსწავლე ზოია ბირბილიანმა.

## კროსვორდი — გამოჩენილი ადამიანები.

ყოველი სიტყვა ავსებს კვადრატს. შევსება იწყება ისრით ნაჩვენები უჯრიდან საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით.

1. ძველი საბერძნეთის უდიდესი მათემატიკოსი და მექანიკოსი.
2. ცნობილი ამერიკელი მწერალი.
3. ამერიკელი მოჭადრაკე, ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში.
4. დიდი ფრანგი მწერალი.
5. საბჭოთა კოსმონავტი.
6. ცნობილი გერმანელი ფიზიკოსი. X სხივების აღმომჩენი.
7. ძველი რომაელი პოეტი — სატირიკოსი.
8. ცნობილი ქართველი პოეტი.
9. ინგლისელი მწერალი. „ჯუნგლების წიგნის“ ავტორი.
10. რუსული ავიაციის მამა.
11. XVII საუკ. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის უდიდესი მოღვაწე.
12. ამერიკელი პოეტი, „ჰაიავატას სიმღერის“ ავტორი.
13. ფრანგი კომპოზიტორი.
14. დედამიწის ირგვლივ პირველი ექსპედიციის მეთაური.
15. გამოჩენილი ამერიკელი საზოგადო მოღვაწე.
16. მოვარვარე ნათურის შემქმნელი.
17. ბერძენი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი.
18. ცნობილი ფრანგი ქიმიკოსი.
19. გენიალური რუსი მხედართმთავარი.
20. XIX საუკუნის პრუსიისა და გერმანიის სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი.



21. XIX საუკუნის რუსი მწერალი.
22. იტალიელი მევიოლინე და კომპოზიტორი.

შეადგინეს თბილისის 123-ე საშუალო სკოლის VI და IV კლასის მოსწავლეებმა, ლამარა და ალექსანდრე ქურჩიშვილებმა.



თბილისი. მთავრობის სახლის კომპლექსი. 1938—1953 წწ. წინა კორპუსის ავტორები — ვ. კოკორინი, გ. ლეჟავა.



თბილისი. სპორტის სასახლე. 1961 წ. არქიტექტორები: ვ. ალექსი-მესხიშვილი, ი. კასრაძე, კონსტრუქტორი დ. ჯიქი

# საბჭოთა არქიტექტურა



...ელმწიფო უნივერსიტეტი. 1969 წ. არქიტექტორები: ს. ბეჟანოვი, ...ავაკაიშვილი, გ. შუბლაძე, კონსტრუქტორი ვ. ლომიძე.



ქუთაისი. ადმინისტრაციული შენობა. 1947 წ. არქიტექტორი მ. შავიშვილი.



თბილისი. საცხოვრებელი სახლი. (1963 წ.) არქიტექტორები გ. მელქაძე, ლ. ხარაშვილი, შ. ყავლაშვილი.